პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 19 ნოემბერი, 1949 წ. № 229 (8532). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გადაჭარბებით შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება—მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სს რესპუბლიკის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (მე-2 გვერდი).
ტრაქტორების რემონტის გეგმა-გრაფიკს არღვევენ (მე-2 გვერდი).
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში (მე-2 გვერდი).
დიდი ძალა მშვიდობისათვის ბრძოლაში—„პრავდის“ 18/XI მოწინავე (მე-3 გვერდი).
მოსკოვში გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გადაჭარბებით შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება

ჩვენს ქვეყანას დიდი რაოდენობით ესაჭიროება ქართული მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული. ამასთან თამბაქო ყველაზე შემოსავლიანი კულტურაა ჩვენი კოლმეურნეობებისათვის. ამით აიხსნება ის დიდი მზრუნველობა, რომელსაც პარტია, მთავრობა, სოფლის მეურნეობის მუშაკები იჩენენ თამბაქოს კულტურისადმი.

წელს ჩვენმა მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანეს, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე წინა წლებში. სწრაფად მრავლდება მეთამბაქოობაში სოციალისტური შრომის გმირების, ორდენოსნებისა და მედალოსნების რიგები. უხვი მოსავლის ოსტატები კარგად დაეუფლნენ თამბაქოს მოყვანის მეცნიერულ წესებს და ყოველწლიურად ადიდებენ მოსავლიანობას. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ბარნაბიშვილმა წელს ჰექტარზე 33 ცენტნერზე მეტი თამბაქო მოიყვანა. ამავე რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომის“ ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა სერგო ბლიაძემ 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერზე მეტი თამბაქო მოიყვანა. სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა ლუბა ბიგვავამ 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 39,3 ცენტნერი თამბაქო მიიღო. ასეთი მაგალითები მრავალია.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩაბარება. კოლმეურნეობები გამსჭვალული არიან ერთი აზრით: ვადამდე შეასრულონ ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, მისცენ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქო. ჩვენი გაზეთის 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულია ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვადამდე — 15 ნოემბრისათვის შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების გეგმა და ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 2.000 ტონა თამბაქო.

საუკეთესოდ მოუარეს წელს თამბაქოს ბოლნისის რაიონში და შედეგიც ჩინებულია. ამ რაიონის კოლმეურნეობებმა ვადამდე 103 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა და იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 200 ტონა ნედლეული. ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც მთლიანად შეასრულეს თამბაქოს დამზადების გეგმა, პირობა დადეს გეგმის გადამეტებით მრეწველობას მისცენ 50 ტონა ნედლეული.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ წელს თამბაქოს დამზადების გეგმის მნიშვნელოვანი გადამეტებით შესრულების საუკეთესო პირობებია. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა უნარიანად გამოიყენონ ეს ხელსაყრელი პირობები, სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა პატრიოტულ თაოსნობას — გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის თამბაქოს ნედლეულის ჩასაბარებლად, ყოველდღიურად ოპერატიულად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ჩვენი წარმატებები მეთამბაქოობაში უდავოა. მაგრამ ამით არ შეიძლება თვითდამშვიდებას მივეცეთ. ახლა, როცა წყდება რესპუბლიკის მშრომელთა ძიერ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ბედი, აუცილებელია საუკეთესოდ მოვაწყოთ თამბაქოს გაშრობა და შემდგომი დამუშავება, მივცეთ სახელმწიფოს საუკეთესო ნედლეული.

ჩვენი გაზეთის მკითხველთა და საკუთარ კორესპონდენტთა სიგნალები ამწმობენ, რომ ჯერ კიდევ არის მიმღები პუნქტების მოუქნელი მუშაობის ცალკეული შემთხვევები. მაგალითად, სიღნაღის რაიონში თამბაქოს დამზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ რაიონი და მისი მიმღები პუნქტები მოუმზადებელი შეხვდნენ თამბაქოს ნედლეულის დამზადებას. წნორის თამბაქოს მიმღები პუნქტის რემონტი დღემდე არ არის დამთავრებული. ეს კი სერიოზულად აფერხებს კოლმეურნეობებისაგან თამბაქოს დროულად მიღებას. ბათუმის რაიონის აჭარისწყლის თამბაქოს ნედლეულის მიმღები პუნქტის მშენებლობა დამთავრებული არ არის. დღემდე შეფერხებით მუშაობდა შუალავრის დამზადების პუნქტი. მიმღები პუნქტების მოქნილ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია თამბაქოს დამზადების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. საჭიროა საქართველოს თამბაქოს ნედლეულის ტრესტის, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაკებმა სასწრაფოდ გამოასწორონ ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ თამბაქოს ნედლეულის შეუფერხებელი მიღება და საფერმენტაციო ქარხნებში გაგზავნა.

მეთამბაქოობის რაიონების მუშაკთა ამოცანაა არ დასტოვონ მინდვრად შეუტეხელი თამბაქო. ყოველი მეთამბაქოე გულდასმით უნდა ზრუნავდეს თამბაქოს ხარისხისა და ასორტიმენტის დაცვისათვის. მაშასადამე, აუცილებელია ერთმანეთში არ ავურიოთ სხვადასხვა ხარისხის თამბაქო. კოლმეურნეობებმა ფარდულებში თამბაქოს გაშრობას და მის შემდგომ დამუშავებას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. აგრონომების მოვალეობაა სისტემატურად შეამოწმონ ფარდულებში თამბაქოს გაშრობის მდგომარეობა და ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

თამბაქოს ნედლეული დროულად უნდა მივაწოდოთ საფერმენტაციო ქარხნებს. ამ მხრივ დიდი ამოცანები დგას რკინიგზელთა წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები კარგად ეხმარებიან ჩვენს მეთამბაქოეებს, სისტემატურად აწვდიან ვაგონებს ნედლეულის დანიშნულებისამებრ გადასაზიდავად. საფერმენტაციო ქარხნების, უწინარეს ყოვლისა კი თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის მუშაკთა მოვალეობაა დროულად მიიღონ ნედლეული, არ დაუშვან ვაგონების მოცდენა.

მეთამბაქოობის რაიონებინ მუშაკთა ღირსების საქმეა უნარიანად გამოიყენონ წლევანდელი ხელსაყრელი პირობები და ბოლშევიკურად იბრძოლონ, რომ გადაჭარბებით შეასრულონ დიდი სტალინის წინაშე სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება საბჭოთა სახელმწიფოსათვის 17.000 ტონა თამბაქოს ნედლეულის ჩაბარების შესახებ.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა სიმინდიწ ჩათვლით. მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა ერთიორად მეტი პური, ვიდრე 1940 წელს.

სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
კ. ჩარკვიანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ზ. ჩხუბიანიშვილი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში
დ. ხანთაძე

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
გ. ალავიძე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის არხანგელსკის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სატყეო მეურნეობის კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის არხანგელსკის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1949 წ. 17 ნოემბერი.

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★ ★ ★

ი. ბ. სტალინის მონუმენტი კოლმეურნეობაში

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ კანტორის ეზოში დადგა ი. ბ. სტალინის მონუმენტი, რომლის ირგვლივ მოაწყეს სკვერი ყვავილნარით და მწვანე ნარგავებით.

აგურის მექანიზებული ქარხანა

გორი. (საკ. კორ.). არტელი „გორმშენი“ ქალაქის გარეუბანში აშენებს აგურის მექანიზებულ ქარხანას. ქარხანა წელიწადში გამოუშვებს ნახევარ მილიონ ცალ აგურს. მშენებლობა წელს დამთავრდება და 1.100 ათასი მანეთი დაჯდება.

ელექტროსადგური ხანისწყალზე

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). დაბა მაიაკოვსკში მდინარე ხანისწყალზე შენდება 250-ცხენისძალიანი ელექტროსადგური. იგი ელექტროდენს მიაწვდის 17 კოლმეურნეობას. მშენებლობა გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს და წელს დამთავრდება.

ილიჩის ნათურები

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა მდინარე ნატანებზე აგეს ჰიდროელექტროსადგური. კოლმეურნეთა ბინები გაანათეს ილიჩის ნათურებმა. ელექტროდენი მიიღო საკოლმეურნეო აბანომ, კოლმეურნეობის კანტორამ, სასოფლო საბჭოს აღმასკომისა და სხვა საზოგადოებრივმა შენობებმა. სამრეწველო დენს მიიღებს სახერხი ქარხანა. რომლის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

50.000 ძირი ხეხილი თბილისის მიდამოებისათვის

დადგა ხეხილის დარგვის პერიოდი. თბილისის ბევრმა მუშამ, მოსამსახურემ, სპეციალისტმა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ეზოებში, გზებზე და ღობეების გაყოლებით დაიწყო ხეხილის გაშენება.

ხეხილი ბევრი გაშენდება როგორც ქალაქის ცენტრალურ უბნებში, ისე ავჭალის, წყნეთის, თელეთის, გლდანის და სხვა მიდამოებში, ავჭალიდან — რუსთავამდე, წყნეთიდან — კუმისამდე და სხვ., სულ რამდენიმე ათას ჰექტარზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორც თბილისის ზონის, ისე საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მშრომელებისათვის მისაყიდად გამოჰყო ლეღვის, ბროწეულის, ატმის, ბალის, ალუბლის, გარგარის, ნუშის, ქლიავის, ვაშლის, მსხლის და სხვათა 50.000 ძირი ძვირფასი სამრეწველო ჯიშების ნერგი. თბილისის სახელმწიფო სანერგიდან მოტანილი ხეხილის ნერგი ხელმისაწვდომ ფასებში ყოველდღიურად იყიდება ლენინის ქუჩაზე არსებულ ორ წერტილში.

საკოლმეურნეო აბანო

ჩხარი. (საკ. კორ.). სოფელ თუზის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში აშენებენ კეთილმოწყობილ საკოლმეურნეო აბანოს. აბანოს მშენებლობა უკვე დასასრულს უახლოვდება და მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ყაიბულელები აღიდებენ ქვანახშირის ამოღებას

ტყიბული. (საკ. კორ.). ნოემბრის პირველ დეკადაში ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებს შორის ქვანახშირის ამოღებაში ყველას უსწრებს გელათის შახტის კოლექტივი.

დაწინაურდა და ნოემბრის პირველი დეკადის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმაც. ამ შახტის საექსპლოატაციო უბნებიდან ყველაზე კარგად იმუშავეს ჰიდრავლიკური ვსების წესით მომუშავე იმ უბნებმა, რომლებსაც სამთო ინჟინრები ლ. ვაშაკიძე და ლ. გოქსაძე ხელმძღვანელობენ. ლ. ვაშაკიძის უბანმა ქვანახშირის მოპოვების პირველი დეკადის გეგმა შეასრულა 115,3 პროცენტით, ხოლო ლ. გოქსაძის უბანმა — 120.4 პროცენტით. დეკადური გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს აგრეთვე პირველი და მისამე უბნის კოლექტივებმა.

ნოემბრის პირველ დეკადაში ქვანახშირის მოპოვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა.

ლენინის სახელობის შახტში კარგად მუშაობს მესამე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი.

საერთოდ ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ნოემბრის პირველ დეკადაში წინა თვის შესაბამის დეკადასთან შედარებით შესამჩნევად გაადიდა ქვანახშირის მოპოვება.

ჭიათურელ ენერგეტიკოსთა წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის ელექტრომეურნეობის მუშაკებმა ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვაში ჯერ კიდევ მეორე კვარტალში დაიკავეს პირველი ადგილი და მოიპოვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჭიათურელმა ენერგეტიკოსებმა იკისრეს მესამე კვარტალში 500.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიის დაზოგვა. ეს ვალდებულება მათ დიდი წარმატებით გაანაღდეს და მარტო მესამე კვარტალში დაზოგეს 1.580.100 კილოვატსაათი ენერგია. ამ მაჩვენებლის მიხედვით ჭიათურელებს მესამე კვარტალში კვლავ მიეკუთვნათ პირველი ადგილი, 15.000 მანეთი პრემია და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ გამარჯვებით აღფრთოვანებულმა ჭიათურელებმა წარმატებით განაგრძეს ელექტროენერგიის ეკონომიისათვის ბრძოლა. ოქტომბერში მათ 492.300 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს, ხოლო სულ განვლილ ათ თვეში 4.491.600 კილოვატსაათის ეკონომიას მიაღწიეს.

ახალგაზრდობა ეუფლება პროფესიებს

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის ფანერის ქარხანაში ბევრი ახალგაზრდა წარმატებით ეუფლება პროფესიას. ოსტატები ნ. ხონელიძე, პ. მოზგოვი და სხვები გულმოდგინედ ზრდიან ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებს და მოკლე დროში ამზადებენ მათ დამოუკიდებლად მუშაობისათვის. წელს ქარხანაში შეიქმნა ორი ახალგაზრდული ბრიგადა. ერთ-ერთ მათგანში (ბრიგადირი ი. პაპანდოპულო) გაერთიანებულია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის ახლად კურსდამთავრებული ახალგაზრდა მუშები, რომლებმაც თვენახევრის განმავლობაში წარმატებით აითვისეს ძვირფასი ავეჯის დამზადების საქმე. ბრიგადა თვიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებს. ამ ბრიგადის ახალგაზრდა ოსტატებს შორის განსაკუთრებით მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ თ. ლეკვეიშვილი, მ. გრუდნევი, პ. შიპილოვი და სხვ.

მეორე ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი ოსტატი ო. ოსეფაშვილი ხელმძღვანელობს, დიდი გადაჭარბებით ასრულებს დღიურ ნორმებს. ამ ბრიგადამ აგვისტო-სექტემბერში გეგმის გადამეტებით დიდძალი პროდუქცია გამოუშვა.

დიდი მონდომებით ეუფლებიან პროფესიას ამ ბრიგადის წევრები — კომკავშირელები: რ. ღლონტი, გ. ბურჯგულაშვილი, გ. პეტროსიანი და სხვები. ორივე ბრიგადის წევრთა უმრავლესობა წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლას აგრძელებენ მოზრდილთა საშუალო სკოლებში.

მოწინავე მევენახეები დუშეთიდან

დუშეთი. (საკ. კორ.). ბარის სოფლებში — მილახვრიანთკარში, ჭოპორტში, ავენისში და სხვ. დღემდე შემონახულია ძველებური ქვევრებისა და საწნახლების ნაშთები. ახლა რაიონში მევენახეობა ფართოდ ვითარდება. 1937 წლიდან დღემდე გაშენებულია 300-მდე ჰექტარი ვენახი. კოლმეურნეობებს გადაწყვეტილი აქვთ 1955 წლამდე დამატებით 200 ჰექტარი ვენახი გააშენონ. კოლმეურნეებს უყვართ ვაზი და მზრუნველობით უვლიან მას. ამის შედეგად ბევრ კოლმეურნეობაში წელს ყურძნის კარგი მოსავალი მიიღეს.

სოფელ არანისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში მერგოლურმა მ. მოძმანაშვილმა მისთვის მიჩენილი 2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 52 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

სოფელ ოძისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ო. გურასპაშვილმა და კოლმეურნეებმა ა. ჩარიგოგდაშვილმა, ე. მელაძემ და ი. გაბრიელაშვილმა თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერზე მეტი ყურძენი მიიწიეს, რაც, თუ რაიონის თავისებურებას გავითვალისწინებთ, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ასეთივე წარმატება აქვს ბევრ სხვა მევენახესაც.

მევენახეებმა უკვე გააჩაღეს მუშაობა მომავალ წელს ყურძნის უფრო უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

ახალი ქუჩა

ქოგულეთი. (საკ. კორ.). ქალაქში ლენინის ქუჩის პარალელურად წარმატებით მიმდინარეობს და მალე დამთავრდება ახალი ქუჩის მშენებლობა, რომლის სიგრძე ხუთ კილომეტრს აღემატება.

ქუჩის ორივე მხარეზე შენდება ახალი კეთილმოწყობილი კაპიტალური სახლები და ირგვება დეკორაციული მცენარეები.

შენობა საექიმო პუნქტისათვის

თელავი. (საკ. კორ.). თელავის რაიონის სოფელ რუისპირში დაიწყო საექიმო პუნქტისათვის ორსართულიანი შენობის აგება, რომელსაც 27 ოთახი ექნება. აქ მოთავსდება პოლიკლინიკა, აფთიაქი, საავადმყოფო 10 საწოლით და სამშობიარო 4 საწოლით.

საექიმო პუნქტის მშენებლობა, რომელზეც 556.000 მანეთი დაიხარჯება, 1950 წელს დამთავრდება.

სახელმწიფო დახმარება მრავალშვილიან და მარჯოხელა დედებს

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაიონში 1.062 მრავალშვილიანი დედაა. მათ შორის ხუთს მიღებული აქვს „გმირი დედის“ წოდება, ხოლო 779 დედა დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და მედლებით.

მარტო მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს სახელმწიფომ დახმარების სახით მისცა 1.383.040 მანეთი.

ზრუნვა მასწავლებლებისადმი

ქვემო სვანეთი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში საშუალო სკოლის მასწავლებელთათვის აშენდა 6-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა. ასეთივე ტიპის საცხოვრებელი ბინა აუშენეს ჩოლურის სასოფლო საბჭოს მშრომელებმა საშუალო სკოლის მასწავლებლებს.

ამჟამად სოფელ ხელეთის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლებისათვის მიმდინარეობს ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინის აგება, რომელიც დამთავრდება დეკემბერში.

ჩოხატაურის რაიონში

საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური

ჩოხატაური. (სპეც. კორ.). მდინარე სუფსაზე დამთავრდა ახალი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. სადგური სინათლეს მიაწვდის რაიონის ხუთ სოფელს: შუაგანახლებას, განახლებას, სამებას, გოგოლესუბანს, გორაბერეჟოულს.

ახალი კლუბი

სოფელ კოხნარში მიმდინარეობს ახალი კლუბის მშენებლობა. კლუბი, რომლის აგება დამთავრდება 5 დეკემბერს, ორსართულიანია, დაიტევს 300 მაყურებელს.

საავადმყოფო

სოფელ საჭამიასერში გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს 20-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. საავადმყოფო მზად იქნება მიმდინარე წელს.

სოციალისტური შრომის გმირები

ჯ. რ. ნაკაშიძე
ქობულეთის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარ ფართობზე 6.017 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.



უ. ხ. კაკაბაძე
ბათუმის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 250 მსხმოიარე სრულასაკოვან ხეზე, საშუალოდ თვითეულზე, 638 ცალი ფორთოხლის მოყვანისათვის.



ი. გ. ბაღათრიშვილი
წინანდლის მევენახეობის სახელობის მეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 112,1 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.



გ. ი. კარაბაკი
მაიაკოვსკის რაიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 101,4 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

პარტიული ცხოვრება

ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის

რკინიგზის თბილისის კვანძს გასულ წელს ზამთრისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა. ამის შედეგად კვანძის ზოგიერთი უბანი ზამთრის პერიოდში საგრძნობლად ჩამორჩა.

კვანძის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი ლ. ჭკუასელი) კარგად გაითვალისწინა გასული წლის შედეგები და მიმდინარე წელს დროულად ჩაუდგა სათავეში ზამთრისათვის მზადებას. ჯერ კიდევ აგვისტოში პარტიული კომიტეტის სხდომაზე ფართო აქტივის მონაწილეობით განხილულ იქნა ეს საკითხი. ზამთარში შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად დაისახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

პარტიული კომიტეტი ამით როდი დაკმაყოფილდა. ზამთრისათვის მზადების საკითხი განსახილველად გადატანილ იქნა ცალკე საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებში. აქ ყურადღება მიექცა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას ცვლებსა და ბრიგადებს შორის. დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გაჩაღდა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ საქმეში ჩაება კვანძის საწარმოებში მომუშავე 250-ზე მეტი აგიტატორი. ზამთრისათვის მზადების მიმდინარეობას მიეძღვნა კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები და სხვ.

შედგა მზადების კალენდარული გეგმა, შეუდგნენ სარემონტო სამუშაოებს, დაიწყეს საამქროების სახურავების შეკეთება, ფანჯრებში მინის ჩასმა, ღუმელებისა და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა წესრიგზე მოყვანა, საერთო საცხოვრებლის შეკეთება, სათბობის მომარაგება.

ზამთრისათვის მზადების საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება კვანძის პარტიულმა კომიტეტმა სამჯერ შეამოწმა. პირველი შემოწმების დროს გამოირკვა, რომ მესამე სატვირთო სავაგონო დეპოს მუშათა საერთო საცხოვრებელი შესაკეთებელი იყო. სადურგლო საამქროში ხანძარსაწინააღმდეგო ხელსაწყოები არ იყო წესრიგზე. აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად პარტიულმა კომიტეტმა ახალი ღონისძიება დასახა და მისი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა პარტიული კომიტეტის წევრებს დაავალა.

კარგად ემზადება ზამთრისათვის საელმავლო დეპო (უფროსი მ. თოიძე, პარტბიუროს მდივანი ვლ. გაბუნია). ელმავლები ზამთრისათვის სავსებით მზადაა. შესანიშნავად იმუშავეს ელმავლების იმ ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები შ. ბითაძე და ე. ბახტაძე ხელმძღვანელობენ. ე. ბახტაძის ბრიგადა 4 წელია დეპოს გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებს. მისი ელმავალი მუდამ წესრიგზეა.

ზამთრისათვის მოსამზადებელი მუშაობა კარგად მოაწყო საორთქლმავლო დეპომ (უფროსი გ. წერეთელი, პარტბიუროს მდივანი დ. აბუთიძე). აქ ვადაზე ადრე შეასრულეს ორთქლმავლების საშუალო, აწევითი და გარეცხვითი შეკეთება. სრულ წესრიგზეა მოყვანილი დეპოს მუშათა საერთო საცხოვრებელი, კლუბი, მუშათა სასადილო, აბანო. დეპოს ყველა საამქროს ფანჯრებში ჩასმულია მინები, მთელი დეპოს ტერიტორია გაწმენდილია.

საორთქლმავლო დეპოს მაინც აქვს ნაკლოვანებანი. მაგალითად, აწევითი საამქროს სახურავი შეუკეთებელია და წყალი ჩამოდის, საგამრეცხო საამქროში შესავალი კარები გამოსაცვლელია, დეპოს ზამთრისათვის მხოლოდ 3 თვის სამყოფი სილის მარაგი მოებოვება, შეუკეთებელია მარაოსებური ლიანდაგები.

თბილისის სამგზავრო სადგურში (უფროსი დ. ასათიანი, პარტბიუროს მდივანი ა. ღონღაძე) კარგად შეასრულეს შენობათა რემონტი, წესრიგზე მოიყვანეს საისრე მეურნეობა, ხელბარგის შესანახი კამერები გადატანილ იქნა უფრო მოსახერხებელ ადგილას. შესრულებული სამუშაოები იმის გარანტიას იძლევა, რომ სადგური შეუფერხებლად იმუშავებს ზამთრის განმავლობაში.

სერიოზული სამუშაოები ჰქონდა შესასრულებელი თბილისის გამცილებელთა რეზერვს (უფროსი ვ. კაკაბაძე, პარტბიუროს მდივანი გ. მაისურაძე). მატარებლების შემადგენლობანი თბილისი-სოხუმი, თბილისი-ბათუმი, თბილისი-გორი, თბილისი-როსტოვი ზამთარში მუშაობისათვის მზადაა. ამ შემადგენლობათა შვიდასმა კაცმა შეისწავლა გათბობის წესები და სხვ. მაგრამ ასე როდი ითქმის თბილისი-ქუთაისის (უფროსი ა. მინასაშვილი), თბილისი-თელავის (უფროსი ვ. მუქერია), თბილისი-წნორის (უფროსი ვ. ტიტუშინი) მატარებელთა შემადგენლობებზე. აღნიშნული მატარებლების ბევრ ვაგონში სახურავი შეუკეთებელია, ფანჯრებში მინები ჩამტვრეულია. მართალია, კახეთის მიმართულებით მოძრავ შემადგენლობებზე 22 უვარგისი ვაგონი შეცვალეს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა სრულ წესრიგზე იქნას მოყვანილი ვაგონების ღუმელები.

თბილისის სატვირთო სადგური (უფროსი ბ. ჭყონიძე, პარტბიუროს მდივანი გ. ნიკურაძე) ზამთრისათვის სამზადისს ადრე შეუდგა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. სადგურს საკმაო რაოდენობით არ აქვს კონდუქტორთა ბრიგადის მოსასვენებლად საწოლები, სკამები, საჭირო ინვენტარი, ელნათურები. ამ საკითხებს ხშირად იხილავს სადგურის პარტიული ორგანიზაცია, გამოაქვს დადგენილებანი, მაგრამ იმის გამო, რომ მათი შესრულებისათვის არ ზრუნავენ, მიზანს ვერ აღწევენ. თბილისის კვანძის მე-10 სალიანდაგო დისტანციის კოლექტივი (უფროსი გ. ჟღენტი, პარტბიუროს მდივანი ო. ურთმელიძე) უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ საქმეს და ზამთრისათვის მზადების საკითხს მეორეხარისხოვნად თვლის. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-10 სალიანდაგო დისტანციის ტერიტორია დახერგილია.

ზამთრისათვის კარგად მომზადების საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის კვანძის პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს. ის მოვალეა ყოველდღიური კონტროლი გაუწიოს მზადების სამუშაოთა მიმდინარეობას და დროულად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი.

ე. მამალაძე

ზრაქზორების რემონტის გეგმა-გრაფიკს აჩლეევენ

შირაქის მტს-მა (დირექტორი ამხ. ა. კაჭარავა, უფროსი მექანიკოსი ა. მალანია) წელს საშემოდგომო ხვნის, თესვისა და მზრალად ხვნის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. დაზოგილია 44 ტონაზე მეტი საწვავი.

განსაკუთრებით დაწინაურდა მეხუთე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ვ. მელიქიშვილი ხელმძღვანელობს. მან დავალება 205 პროცენტით შეასრულა და 8 ტონაზე მეტი საწვავი დაზოგა. კ. გორბიკოვის სატრაქტორო ბრიგადამ გადაჭარბებით გაანაღდა მიცემული გეგმები და გასწია 5.324 კილოგრამი საწვავის ეკონომია. ასეთივე წარმატება მოიპოვა მეექვსე სატრაქტორო ბრიგადამ. მტს-ში არ არის ისეთი ბრიგადა, რომელსაც გეგმა არ შეესრულებინოს.

მოწინავე ბრიგადებმა ყველაზე ადრე დაიწყეს ტრაქტორების შეკეთება და ოქტომბერში რემონტიდან გამოუშვეს 3 ტრაქტორი. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. მეოთხე კვარტალში კაპიტალურად უნდა შეკეთდეს 12 ტრაქტორი, მიმდინარე რემონტი უნდა გაუკეთდეს 16 ტრაქტორს, შეკეთდეს 6 კომბაინი.

მტს-ის დირექციამ ტრაქტორების რემონტის გეგმა-გრაფიკი დაგვიანებით შეადგინა. საწარმოო თათბირზე იგი 15 ნოემბერსაც არ იყო დამტკიცებული. გეგმა-გრაფიკს არ იცნობენ რემონტზე მომუშავენი. რემონტის ტემპის დაჩქარებას ხელს უშლის ისიც, რომ სოფლმომარაგებას დღემდე არ მიუცია მტს-ისათვის კუთვნილი რკინეული, ხელსაწყო-იარაღები, ქლიბები, ბურღები და სხვ.

უფრო მეტად ფერხდება „ნატის“ მარკის ტრაქტორების რემონტი. კაპიტალურად შესაკეთებელია აღნიშნული მარკის 8 ტრაქტორი. მაგრამ რემონტი ჭიანურდება იმის გამო, რომ აკლიათ დიდი კბილანები და საკისარები. არის შემთხვევა, როცა მტს-ს უხარისხო ნაწილებს უგზავნიან. მაგალითად, მტს-მა მიიღო კბილანები, საკისარები, დგუშის თითები და სხვ. რომლებიც უხარისხო გამოდგა. ამაზე შედგა სათანადო აქტი და 3 აგვისტოს ჩაბარდა „გლავტრაქტორსბიტის“ საქართველოს კანტორას, ხოლო სამაგიერო დღემდე არ მიუღიათ.

ტრაქტორების რემონტი გაჩაღდა წნორის მტს-შიც (დირექტორი ამხ. გომიაშვილი, ინჟინერ-მექანიკოსი ამხ. ჯავაშვილი). მაგრამ აქაც არ არის ყველაფერი რიგზე. მეოთხე კვარტალში შესაკეთებელია 25 ტრაქტორი, 6 კომბაინი, 21 გუთანი, 6 სათესი, 4 საოში და სხვ.

მტს-ში თუმცა შეადგინეს ტრაქტორების რემონტის გეგმა-გრაფიკი თვეებისა და დღეების მიხედვითაც კი, მაგრამ იგი არ სრულდება. ოქტომბერში უნდა შეეკეთებინათ 4 ტრაქტორი, ერთიც არ შეუკეთებიათ. ნოემბერში არემონტებენ 25 ტრაქტორს. 16 ნოემბრისათვის დაშლილი იყო 19 ტრაქტორი, მაგრამ ნაწილების უქონლობის გამო დღემდე არც ერთი ტრაქტორის რემონტი არ არის დამთავრებული. გრაფიკი ნოემბერშიც დაირღვა. 16 ნოემბრამდე უნდა გამოეშვათ 2 „სტზ“ მარკის ტრაქტორი და ერთი „უნივერსალი“, მაგრამ ვერ გამოუშვეს.

მტს-ს დღემდე არა აქვს მიღებული რემონტისათვის გათვალისწინებული თანხა. ცხადია, ეს ხელს უშლის მუშაობას. აქ ესაჭიროებათ „ნატის“ მარკის ტრაქტორებისათვის 5 ცალი ჟანა ხედი, „უნივერსალის“ ჰილზები, „ნატის“ დიდი და პატარა კბილანები, არა აქვთ რკინეული. საჭიროა 20 ტონამდე ნახშირი, აქვთ მხოლოდ 1 ტონა. სახელოსნო პატარაა და ტრაქტორებს ვერ იტევს. არა აქვთ ფარდულები. ყველაფერი ეს საფრთხეში აყენებს ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმის შესრულებას.

ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, მტსების ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი და ზუსტად განახორციელონ ისინი.

ნ. ჯანჯღავა

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

ვიზრუნოთ მწყემსებისათვის საჭირო ჯანსაცმელზე

ორი ათეული წელია, რაც მეცხვარეობას ვეწევი. ზამთარ-ზაფხულ ვიმყოფები საძოვრებზე. მწყემსებს მუშაობაში ბევრი სიძნელე გვხვდება. რა ამინდიც უნდა იყოს, მწყემსი ცხვარს უმეთვალყურეოდ ვერ დატოვებს. იგი ვალდებულია ცხვართან იყოს როგორც კარგ ამინდში, ისე წვიმასა და თოვლში.

ჩვენი პარტია და მთავრობა მამობრივად ზრუნავენ მეცხოველეობის მუშაკებისათვის. ამ ზრუნვას ჩვენ თავდადებული შრომით ვუპასუხებთ. მწყემსის შრომა საბჭოთა ქვეყანაში ისევე საპატიოა, როგორც მეშახტის, მეტალურგის, მეციტრუსის, მეჭარხლის შრომა.

ჩვენი მუშაობა რომ უფრო გაადვილდეს და შრომის ნაყოფიერება გაზარდოს, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აუცილებელია იშოვებოდეს ჩვენთვის გამოსადეგი ტანსაცმელი. მამაპაპური ნაბადი ადარ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს. საჭიროა გამოშვებულ იქნას წყალგაუმტარი ქსოვილისაგან შეკერილი ხალათები, შარვლები, მოსასხამები და შესაფერისი ფეხსაცმელი. გარდა ამისა, აუცილებელია მსუბუქი ტიპის ტილოს ისეთი კარვები, რომლების ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა ადვილი იქნება. ყოველივე ეს დიდად დაგვეხმარება მწყემსებს.

იმედი გვაქვს ამ საკითხს სერიოზულად შეისწავლიან და სათანადო ყურადღებას მიაქცევენ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროები.

თ. წიკლაური

დუშეთის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის დროშის“ მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

ფართოდ გავაკრიტიკოთ ს. მიგინის, თაოსნობა მოწყობილობის ერთეულიდან მეჯრა-პროდუქციის მიღებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საკითხი კოსინსკის სატრიკოტაჟო ფაბრიკის საამქროს უფროსის ს. ი. მიტინის თაოსნობისა — მოწყობილობის ერთეულიდან პროდუქციის მიღების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს ნოემბრის ბოლომდე საწარმოებში მოაწყონ ამხ. მიტინის ამ ინიციატივის ფართოდ განხილვა; საქართველო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად დაევალათ: ფართოდ გააჩაღონ შეჯიბრება მოწყობილობის ერთეულიდან მეტი პროდუქციის მიღებისათვის; საწარმოო თათბირების მუშაობა წარმართონ მოწყობილობის მოცდენის ლიკვიდაციის, ამ მიმართულებით ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების ნიშნით; უზრუნველყონ მოწყობილობის მიმდინარე და საგეგმოგამაფრთხილებელი რემონტის დროულად ჩატარება, რასაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ პრეზიდიუმის სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ საქართველო-საფაბრიკო კომიტეტებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების მოხსენებები პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ, ქალაქებსა და რაიონებში ჩაატარონ პროფკავშირების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოთა აქტივის საქართველოთაშორისო თათბირები მოწყობილობის ერთეულიდან პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ; სათანადო სამინისტროებთან ერთად განიხილონ ამ თათბირების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი; ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ იმ მუშებს, რომლებიც ჩამორჩებიან მოწყობილობის ერთეულიდან სათანადო პროდუქციის მიღებაში.

პროფსაბჭოს საწარმოო-მასობრივ განყოფილებას დაევალა მუდმივი კონტროლი დაწესოს ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში ამხ. მიტინის თაოსნობის გავრცელებისადმი და ამასთანავე მიმდინარე წლის დეკემბრის პირველი რიცხვებისათვის მოამზადოს ამ საკითხზე რესპუბლიკური თათბირის მოწვევა საწარმოთა მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის.

საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიჯეჯების ანგარიშგება-არჩევნები

პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების დადგენილებით მიმდინარე წლის ნოემბრიდან მომავალი წლის მარტამდე ტარდება საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების, აგრეთვე საამქროთა კომიტეტებისა და პროფჯგუფორგების ანგარიშგება-არჩევნები.

ანგარიშგება-არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკურ, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტებს საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებამდე ათი დღით ადრე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრან განცხადებები საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების შესახებ; წერილობითი ანგარიშები წინასწარ განიხილონ და დაამტკიცონ საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების სხდომებზე; საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩაატარონ საკავშირო პროფსაბჭოს სათანადო ინსტრუქციის სრული შესაბამისობით; ამ კრებებზე მოისმინონ სარევიზიო კომისიების ანგარიშები ძირეული პროფორგანიზაციების საფინანსო მდგომარეობის შესახებ, ძირეულ პრესაში ფართოდ გააშუქონ კრებების ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების პერიოდში ძირეულმა პროფორგანიზაციებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშა-მოსამსახურეთა მთლიანად ჩაბმას პროფორგანიზაციებში, აგრეთვე საწევრო ანარიცხების დავალიანების ლიკვიდაციას. კრებები უნდა ჩატარდეს კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების, წარმოების ნოვატორთა მუშაობის მეთოდების ფართოდ დანერგვის, საწარმოო გეგმების ყველა მაჩვენებლების მიხედვით შესრულების, მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ნიშნით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღების ნიშნით.

ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძირეული პროფორგანიზაციების შემადგენლობაში საწარმოთა მოწინავე ადამიანების არჩევას.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს დაევალათ ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში ძირეული პროფორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად ადგილებზე მიავლინონ პროფკავშირთა ხელმძღვანელი მუშაკები, ხოლო პროფსაბჭოს საორგანიზაციო-მასობრივმა განყოფილებამ სისტემატურად შეამოწმოს ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„წითელი ყაყაჩო“

პროზის ოსტატის დ. შენგელაიას ახალი რომანი „წითელი ყაყაჩო“ დიდი სამამულო ომის წლებს ეხება.

რომანი ომის გამოცხადების დღის სურათის ასახვით იწყება. 1941 წლის 22 ივნისია. თბილისში დარაშელიძიანთ ოჯახში ერთად შეხვდილი მეგობრები არჩილი და ბეჟანი მეცნიერების, სიცოცხლის და ადამიანის დანიშნულების ღრმა და თეორიულ საკითხებზე მსჯელობენ. მათი საუბარი ერთბაშად შეწყვიტა მოულოდნელმა ამბავმა:

„...ოთახში მაიკო შემოიჭრა.

— არჩილ, ბეჟან, ომი დაიწყო!

ვერაფერი გამეგო, არჩილს გაკბენილი შევცქეროდი, პასუხს თითქოს მისგან ველოდი.

მიუხედავად იმისა, რომ ომს ყოველ წუთს მოველოდით, ვიცოდით, რომ ეს საშინელება არ აგვცდებოდა, იგი ჩემთვის მაინც მოულოდნელ რამედ აღმოჩნდა, გაოცებისა და მწუხარების გამო ხმა ერთხანს ვეღარ ამომეღო“...

მეგობრები მეორე დღესვე ფრონტზე იგზავნებიან — ბეჟანი საარმიო გაზეთის რედაქციაში, არჩილი მესანგრეთა ნაწილში. ომის ცეცხლსა და ქარიშხალს გამოვლილი მეგობრები მწერალმა სამი წლის შემდეგ ერთმანეთს ჰოსპიტალში შეახვედრა: ბეჟანი მსუბუქად დაჭრილი, არჩილი კი სასიკვდილოდ განწირული. ჰოსპიტალში განკურნებული ბეჟანი კვლავ ფრონტზე მიდის. იგი თავის თანამებრძოლებთან ერთად ბერლინში პირველი შეიჭრება. ომი მთავრდება. ბეჟანი თბილისს ბრუნდება გამარჯვებული. მაგრამ მას მეგობრის, სამშობლოს უკვდავებისათვის დაღუპული გმირის, ამხანაგისა და ახლობლის არჩილის სახე თვალთაგან არ შორდება. ომიდან დაბრუნებული ბეჟანი იმედითა და აღტაცებით შეტრფის თავისი ქვეყნის მომავალს. იგი ახლა მშვიდობიანი შრომის დაწყებაზე ოცნებობს.

„წითელი ყაყაჩოს“ ძირითად იდეას საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობის პრინციპი განსაზღვრავს. ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და დიდებისათვის მებრძოლი სხვადასხვა ეროვნების მეომართა სახე მწერალმა დიდი გულთბილობითა და უბრალოებით დაგვიხატა. ციმბირელ სავგაჩოვს, უკრაინელ დობროხოტოვს, ქართველ მატახერიას ერთნაირი გზნებით უყვართ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო და თავდადებით იბრძვიან ჭტრის შესამუსრავად. აი მოვუსმინოთ რუს საბჭოთა ქალიშვილს უკრაინის დედაქალაქის კიევის გამო რას ეუბნება უკრაინელ დობროხოტოვს:

„— მერე რა, რომ ამხანაგი მატახერია იქაური არ არის. შენ გგონია, რახან კიევში დაიბადე, ის ქალაქი მარტო შენია? არა, ამხანაგო კაპიტანო! ცდები, ძვირფასო! ჩვენ ყველანი იქაურები ვართ, ჩვენ საბჭოთა ქვეყნის შვილები ვართ და ის შენი კიევიც ჩვენია, გული მისთვის ჩვენც გვტკივა“.

ამ შეგნებით გამსჭვალული საბჭოთა პატრიოტები თავს დებენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. სწორედ ამიტომ გავიმარჯვეთ ჩვენ დიდ სამამულო ომში.

„წითელი ყაყაჩო“ რეალისტური ნაწარმოებია. რომანში ყოველი სიტუაცია გადაწყვეტილია რეალიზმის პრინციპით. ეს მით უმეტეს უნდა აღინიშნოს, რომ დ. შენგელაიასათვის წლების განმავლობაში დამახასიათებელი იყო დეკადენტური პროზის უკუღმართი ნიშნები: დანისლული სტრიქონები, განგებ, ხელოვნურად დახლართული სიტუაციები, ამორფული სიუჟეტი.

ცნობილია, რომ მარტო თემის აქტუალობა არ წყვეტს ნაწარმოების ღირსების საკითხს. ამოცანა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად, როდესაც მწერალი აქტუალურ თემას შესაფერის მხატვრულ ფორმას გამოუნახავს. თუ მხატვრულ ქმნილებაში ჩვენი ადამიანების სახე არ არის განზოგადებული, მართალი და ამაღელვებელი, ასეთმა ნაწარმოებმა არ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს მკითხველზე.

დ. შენგელაიას რომანი „წითელი ყაყაჩო“ მდიდარია ადამიანთა სახეებით. როდესაც რომანში რამდენიმე გმირი მოქმედებს, ძნელია მწერალმა ყველას გამოკვეთილი ადგილი და სახე გამოუნახოს. ჩვეულებრივ ასეთ დროს მთავარ გმირს ან გმირებს გამოყოფენ ხოლმე. დ. შენგელაიას რომანში კი ასეთი შეგნებული გამოყოფა არაა. ამიტომაც ზოგი გმირი მოულოდნელად იკარგება. ჩვენ არ ვიცით, რა ბედი ეწიათ რომანის მთელ რიგ ცენტრალურ გმირებს. ზოგ შემთხვევაში რომანის გმირები არ არიან სრულყოფილნი, მაგალითად, მატახერიას სახე. იგი ჰოსპიტლის სცენების შემდეგ უცბად და მოულოდნელად გადის რომანიდან. მიუხედავად იმისა, რომ დ. შენგელაიას ამ რომანის გმირებს ყოველმხრივი მხატვრული და სიუჟეტური სისრულე აკლიათ, მწერალმა ისინი ზოგი ისეთი შტრიხით დახატა, რომ მკითხველის მეხსიერებაში რჩებიან როგორც ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები.

რომანში შედარებით სრულყოფილია ბეჟანისა და მაშენკას სახე. ბეჟანი რომანის ცენტრალური გმირია. მართალია რეზონიორის როლში ყოფნა ერთგვარად უკარგავს დამოუკიდებელი სიცოცხლის უნარს რომანის ამ გმირს, მაგრამ რამდენადაც მის გარშემოა სიუჟეტი აგებული, იმდენად იგი რჩება ცენტრალურ გმირად. ბეჟანი საბჭოთა პატრიოტის მრავალ შესანიშნავ თვისებას ამჟღავნებს.

მაშენკას ხასიათში მწერალმა მარჯვედ გამოკვეთა საბჭოთა გმირი ქალიშვილის სახე. თოთხმეტი წლის მაშენკა პარტიზანებთან მოხვდება. აქ გაივლის ის საბჭოთა მეომრის სკოლას. შემდეგ ის ჰოსპიტალში მუშაობს. მაშენკა არის დაჭრილი საბჭოთა მეომრების არა მარტო უბრალო მომვლელი, არამედ უწინარეს ყოვლისა მათი სულიერი მეგობარია. მაშენკამ იცის მტრის სიძულვილი, შეუპოვარი ბრძოლა, მაგრამ მისთვის არ არის უცხო ოცნება და რომანტიკა. მასში ერთნაირი გზნებით გააერთიანა მწერალმა მებრძოლი პარტიზანისა და მეოცნებე საბჭოთა ქალის სახე.

დ. შენგელაიამ არა მარტო ეს ქალიშვილი დახატა რომანტიკული ფერებით, არამედ ისეთი მებრძოლი ვაჟკაცის სახეც კი, როგორიცაა რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი მატახერია. ბეჟანი გაკვირვებით ამბობს: „მე იქვე ვიწექ. მის საქმიანობას თვალყურს უნებლიე ღიმილით ვადევნებდი. მიკვირდა, ამ ვეება კაცში ბავშვური მიამიტობა ვაჟკაცურ თვისებებთან ეგრე როგორ იყო შერწყმული. მიკვირდა, სიკვდილში, სიმწარეში ათასგზის გამოვლილმა, ამდენი კდემამოსილება და უშუალობა საიდან შეინარჩუნა. მიკვირდა, მას ამ თვისებებთან ერთად ღრმა გონიერება და აზროვნებაც ეგრე რომ ახასიათებდა“.

საინტერესოა ჰოსპიტლის მოხუცებული მომვლელი ქალის აკულინას სახე. მას დედაშვილური გრძნობით უყვარს ყოველი საბჭოთა დაჭრილი მებრძოლი და დიდი სიყვარულით უვლის მათ.

დემნა შენგელაიას ახალ რომანში საბჭოთა ადამიანები ძირითადად გამოიატანენ არიან სწორად. მაინც არ შეიძლება არ ვუსაყვედურთოთ ავტორს ზოგი რამ ამ მხრივ. რომანში გმირების ხასიათის, მათი ფსიქოლოგიის და შეგნების ფორმირების პროცესი არ ჩანს. ჩვენ არაფერი ვიცით, მაგალითად, რომანის მთავარი გმირების მატახერიას, დობროხოტოვის, მაშენკას თუ სხვათა ცხოვრების ომამდელ ხანაზე. რაც მთავარია, რომანში არა ჩანს საბჭოთა ადამიანების მთელი შრომისა და ბრძოლის წარმმართველი, მაორგანიზებელი ძალა — პარტიული ხელმძღვანელობა. გმირების მოქმედებას რომანში ერთგვარი მექანიკური, ავტომატური ხასიათი აქვს. გარდა ამისა, რომანს აკლია ერთგვარი ძხატვრული მთლიანობა და ძასალის თანაბარი დამუშავება. ამ მხრივ რომანის პირველი ნაწილი უფრო უშუალო და ბუნებრივი მოჩანს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჰოსპიტლის მეტისმეტად გაჭიანურებულ სცენებს, ამ თავში განსაკუთრებით ძლიერია ბავშვის სიკვდილის ამბავი, მაშენკას მიერ მოთხრობილი, და ბეჟანის მიერ დედის მოგონების სურათი. უფრო სუსტია რომანის მეორე ნაწილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მწერალი თანაბარი ძალით არ იცნობს ობიექტს, რაზეც წერს. გვნსაკუთრებით სუსტად არის წარმოდგენილი ბრძოლის ველი, ომი. მწერალი ამას, როგორც ჩანს, თვითონ გრძნობს და საბუთად ასეთ უცნაურ მოსაზრებას გვთავაზობს: „მოვლენათა უშუალო ძონაწილენი მთავარს ხშირად ყურილმანისაგან ვერ განასხვავებენ, უმნიშვნელო რამ შეძთხვევას, რომელსაც მათზე შთაბეჭდილება რატომღაც მოუხდენია, აზვიადებენ და მით სიმართლეს უნებლიეთ ამახინჯებენ: ქართული ანდაზა, ლაშქრიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლი ომის ამბავს ახვედრებდაო, ამიტომაც არის ბრძნული და შედეგი დიდი დაკვირვებისა“.

აქ მოყვანილი ქართული ანდაზა სულაც იმას არ ამბობს, რასაც დ. შენგელაია მას მიაწერს. ქართული ანდაზა, პირიქით, დასცინის ცოლს, რომ ლაშქრიდან დაბრუნებულ ქმარს ახვედრებს ომის ამბავს. ტყუილად ჭგონია მწერალს, რომ აუცილებელი არ იყოს უშუალო მონაწილეობა ამბავში. ნამდვილად კი მოვლენა ან ცხოვრება, რომლის შესახებ მწერალი წერს, უშუალოდ თუ არ არის განცდილი და ნახული,—თუ უშუალო შთაბეჭდილებას, ცხოვრებიდან მიღებულ სურათებს წიგნური, მოგონილი სურათები ცვლის, — მაშინ შთაბეჭდილება სუსტდება, ყნინდება. ყოველი ცდა თანამედროვეობის უშუალოდ ცოდნის გამოგონილი ამბით შეცვლისა ნაძალადეობისა და უხეირო გამომგონებლობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენი ხალხი, რომელიც უშუალოდ ქმნის და აშენებს ამ ახალ ცხოვრებას, ძხატვრული ხაწარმოებისაგანაც მოითხოვს ამ დიდი და მღელვარე ცხოვრების მართლად გამოხატვას. საეჭვოდ აბსტრაქტული ძსჯელობა შთაბეჭდილებას ღალავს. მით უმეტეს, მხატვრული ნაწარმოები არ ითმენს აბსტრაქტულ მსჯელობას. ასეთი მსჯელობით ამბავს მშრალი, მოსაწყენი ხასიათი ენიჭება. მწერალი უნდა ერიდებოდეს ამ გზას. დ. შენგელაიას ახალ რომანში, საბოლოოდ, არის ასეთი ადგილები. მაგალითად, მსჯელობა ადამიანის შეგნებისა და შეძლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე, მსჯელობა ტექნიკასა და ცხენსნობაზე და სხვა მისთანანი.

როგორია დასკვნა?

დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი დემნა შენგელაიას ახალი რომანი საინტერესო ნაწარმოებია. ეს რომანი უსათუოდ ხელს შეუწყობს საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა სტალინური მეგობრობის გრძნობების აღზრდას მკითხველთა შორის. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ დემნა შენგელაიასაგან, როგორც ნიჭიერი პროზაიკოსისაგან ჩვენ მეტს მოველოდით. საქმე ის არის, რომ რომანს ზერელობის იერი გადაჰკრავს. არ არის მიღწეული სრული შედეგება დიდი იდეური სიღრმისა მაღალ მხატვრულ ოსტატობასთან. საბჭოთა ლიტერატურის მეთოდისათვის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდისათვის მიუღებელია სინამდვილის ზედაპირული ფიქსაცია, მოვლენების ობიექტივისტური აღწერა. ჩვენ მწერლისაგან მოვითხოვთ ღრმად ჩასწვდეს სინამდვილეს, მოგვცეს ცხოვრების ტიპიური, მაღალმხატვრული სურათები. ამ მხრივ „წითელ ყაყაჩოს“ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს. როგორც ჩანს, დემნა შენგელაიამ შესაფერისად ვერ გამოიყენა მთელი თავისი მხატვრული ძალა. უეჭველია, იგი ამას გაითვალისწინებს თავის მომავალ მუშაობაში და მოგვცემს უფრო სრულყოფილ ნაწარმოებებს.

ს. ჯილაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა

სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებისათვის ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სუბ-ალიკაში ბევრი რამ გაკეთდა. პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის. გაიზარდა სანიტარული განათლების სახლების ქსელი, ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა რიცხვი. უკეთესად არის დაყენებული სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოცემის საქმეც.

სანიტარული განათლების საქმის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ამჟამად რესპუბლიკაში აღმოფხვრილია საშიში ინფექციური დაავადებანი, მნიშვნელოვნად არის შემცირებული ისეთი ავადმყოფობანი, როგორიც არის ტუბერკულოზი, კიბო, ვენერიული სნეულებანი და სხვ. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ჩვენი სამედიცინო მუშაკების უდიდესი ზრუნვის საგანია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული განათლების საბჭოს პირველმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, აღნიშნულ მიღწევებთან ერთად მთელი რიგი ნაკლოვანებანიც გამოავლინა. პლენუმზე აღინიშნა, რომ სანიტარული განათლების დარგში მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმაოა. ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი საჭირო ყურადღებას არ აქცევს სანიტარულ განათლებას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე დგას ამოცანა — ყოველმხრივ გააუმჯობესონ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. სწორედ ამასვე უნდა ემსახურებოდეს სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობაც, რომელშიც აუცილებელია მონაწილეობდეს ყველა ექიმი, ფერშალი და ბებიაქალი.

სანიტარული განათლების საქმეში პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს ჰიგიენის საკითხებს. იმისათვის, რომ ხელი შეეუწყოთ ადამიანის პირადი, შრომის, დასვენების ჰიგიენის გაუმჯობესებას, საკმარისი არ არის მხოლოდ ცალკეული ლექციების მოწყობა. საჭიროა მოვაწყოთ მოსახლეობის სანიტარული სწავლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთი სწავლების გაშლას დაწყებით და საშუალო სკოლებში, სახელოსნო და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებში, საერთო საცხოვრებლებში და სხვ. ჰიგიენის საკითხებისადმი მიძღვნილი მეცადინეობა ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის საქმის გაუმჯობესებას.

სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, ცხადია, ერთ-ერთი მთავარი ადგილი ლექციურ პროპაგანდას უკავია. მაგრამ ლექციები ყოველთვის როდია მაღალხარისხოვანი. ისინი უმთავრესად ზოგადი ხასიათისაა და დაკავშირებული არ არის სინამდვილიდან აღებულ ცოცხალ, პრაქტიკულ საკითხებთან. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ სამედიცინო საკითხებზე გამოცემული ბროშურების შინაარსიც ზოგჯერ დამაკმაყოფილებელი არ არის.

ნაკლია აგრეთვე ის, რომ სანიტარული განათლების საქმეში უკლებლივ არ არიან ჩაბმული სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორები, სკოლის ექიმები. ისინი კი სათავეში უნდა ჩაუდგნენ სანიტარულ პროპაგანდას. თვითეული ექიმის ღირსების საქმეა გასწიოს სანიტარული პროპაგანდა მოსახლეობის ფართო მასებში.

უფრო ავამაღლოთ სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხარისხი, აღმოვფხვრათ სანიტარული განათლების საბჭოს პირველ რესპუბლიკურ პლენუმზე გამოვლინებული ნაკლოვანებანი, გავაუმჯობესოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

ი. ფრანგულიანი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე და მთავარი სახელმწიფო სანიტარული ინსპექტორი

სიღნაღის საავადმყოფო-პოლიკლინიკას მეჯი დახმარება ესაჭიროება

სიღნაღის რაიონულმა საავადმყოფომ (გამგე ბ. ჯაფარიძე) უკანასკნელ ხანს საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. 19 ექიმი, 46 ექთანი თანაშემწე და 2 ფარმაცევტი ენერგიულად იბრძვიან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

მაგრამ საავადმყოფოს ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის მთელი რიგი მიზეზები. მაგალითად, საავადმყოფოს არა აქვს სასწრაფო დახმარების მანქანა, არსებული Уყალსადენი მოძველებულია და რემონტს საჭიროებს, საწოლები და კარადებიც შესაკეთებელია და სხვ.

საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში სივიწროვეა, კედლები დაბუჭყიანებულია. სამშობიარო სახლისათვის სპეციალურად აშენდა კეთილმოწყობილი ბინა, რომელიც სამამულო ომის დროს დროებით გამოსაყენებლად გადაეცა სხვა ორგანიზაციას. რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება (გამგე გ. მარტაშვილი) ბინის დაბრუნებისათვის თავს არ იწუხებს.

სივიწროვეა პოლიკლინიკაშიც. მაგალითად, ნერვულ სნეულებათა კაბინეტს ჰყავს გამგე-ექიმი, მაგრამ მას სამუშაო ოთახი არა აქვს მიჩენილი. პოლიკლინიკა ჯერაც მოუწყობელია: ყელ-ყურის კაბინეტს აკლია საოპერაციო იარაღი, კედათა და ბავშვთა კონსულტაციაში არა აქვთ სასწორი, წნევის საზომი აპარატი და სხვ.

სიღნაღის რაისაბჭოს აღმასკომმა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ საჭირო საავადმყოფო-პოლიკლინიკას ნორმალური მუშაობის პირობები შეუქმნან.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩოღის დამთავრება წყალსადენის მშენებლობა“

„კომუნისტის“ 28 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელიც ეხებოდა კასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოში წყალსადენის მშენებლობის გაჭიანურებას.

საქართველოს კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ქველაძე გვატყობინებს, რომ რაიონულმა კომიტეტმა მიიღო ზომები აღნიშნული წყალსადენის მშენებლობის უახლოეს პერიოდში დამთავრებისათვის.

მოსკოვში გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია

17 ნოემბერს მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში, გაიხსნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს სესია. სესიაზე დედამიწის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დელეგატები, რომლებიც ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის ათობით ქვეყანას წარმოადგენენ.

დარბაზში არის ბევრი სტუმარი — დედაქალაქის საზოგადოებრიობის, მუშა ქალების, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის წარმომადგენლები.

სხდომა გაიხსნა დილის 11 საათზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარის ნ. ვ. პოპოვას შესავალი სიტყვით.

ქ-ნ ანა ნევალაინენის (ფინეთი) წინადადებით სესია ერთსულოვნად ირჩევს პრეზიდიუმს შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპოვა (სსრ კავშირი), დოლორეს იბარური (სსპანეთი), მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე (საფრანგეთი), ევგენია პრაგოროვა (პოლონეთი), მიურიელ დრეიპერი (ამერიკის შეერთებული შტატები), დინლინი (ჩინეთი), ზინაიდა გურინა (სსრ კავშირი), ჯულიეტა ფიბი (იტალია), ელიზა ურისი (სსპანეთი), ანა მატოშკოვა (ჩეხოსლოვაკია), ელისაბედ მილარდ ბოინტონი (ამერიკის შეერთებული შტატები).

სესიის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ პრეზიდიუმის წევრებს.

ნ. ვ. პოპოვა აცხადებს, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ეფენი კოტონი სესიას ვერ დაესწრება თავისი ქმრის მძიმე ავადმყოფობის გამო. მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე აქვეყნებს ქ-ნ ეფენი კოტონის წერილს.

სიტყვა პირველ საკითხზე მოხსენებისათვის ეძლევა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალურ მდივანს ქ-ნ მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიეს, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ.

მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე თავისი მოხსენების დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქალები მარტონი როდი იბრძვიან მშვიდობისათვის. არ შეიძლება გამოყოფილ იქნას არც მათი ამოცანები და არც მათი საქმიანობა მშვიდობის ყველა ძალებისაგან მთლიანად. ეს საქმიანობა განხილულ უნდა იქნას მთელ საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. როგორია გასული წლის ძირითადი შედეგი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის თვალსაზრისით? ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მშვიდობის ბანაკის ძალების გაძლიერება, ზრდა და კონსოლიდაცია. მშვიდობის ბანაკს გეოგრაფიული საზღვრები არა აქვს. ეს საზღვრები გადიან თვითეულ ქვეყანაზე, სადაც, ერთი მხრივ, არის ხალხი, უბრალო და პატიოსანი ადამიანები, რომელთაც სძულთ ომი, და რომლებიც სულითა და გულით ესწრაფვიან მშვიდობიან ცხოვრებას, ხოლო, მეორე მხრივ, — ერთი მუჭა ფინანსისტი მონოპოლისტები და იმპერიალისტები, რომელთაც წყურიათ ახალი ომი, როგორც მათი საზღაპრო მოგების უფრო გადიდების საშუალება.

მაგრამ შეხედეთ მსოფლიოს რუკას, — ამბობს მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე. თქვენ დანახავთ: ევროპისა და აზიის ათ ქვეყანაში 800 მილიონიანი მოსახლეობით ხალხები და მოვაჭრობები ერთიანი არიან თავიანთ მისწრაფებაში მშვიდობისა და *ყვავებისაკენ თავისუფლებისა და დემოკრატიის პირობებში. მშვიდობის ბანაკს სათავეში უდგას დიდი და სახელოვანი საბჭოთა კავშირი, რომლის პირველი აქტი ის იყო, რომ 32 წლის წინათ წამოაყენა წინადადება ყველა ხალხს შორის დამყარებულიყო მშვიდობა.

მომხსენებელი ლაპარაკობს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ახალ წარმატებებზე.

მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე მიესალმება გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა დელეგაციის წინადადებას მშვიდობის განმტკიცების პაქტის დადების შესახებ.

მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის წამყვან როლზე მშვიდობისათვის ბრძოლაში.

— ბედნიერი ვართ, რომ ჩვენი საბჭოს სესია მიმდინარეობს მოსკოვში და რომ შეგვიძლია ამ დარბაზში გენერალისიმუს სტალინს გადავუბადოთ მთელი მსოფლიოს ქალთა უსაზღვრო მადლობა არამარტო ჰიტლერულ ტრღოებზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებისათვის, არამედ იმ დაუღალავი ბრძოლისთვისაც, რასაც იგი მას შემდეგ ეწევა მშვიდობის დასაცავად. ჩვენ გვსურს გამოვთქვათ ჩვენი სრული რწმენა გენერალისიმუს სტალინის წინაშე, რომ მის ხელში მშვიდობა საიმედოდ არის დაცული, რომ მას შეუძლია იქონიოს ყოველი ჩვენგანის იმედი, რომ იმ მცირე უბანზე, რომელიც თვითეულ ჩვენგანს უკავია, ჩვენ ყველანი მივბაძავთ მის მაგალითს და ჩვენს საუკეთესო ძალებს მოვახმართ მშვიდობისა და კაცობრიობის სამსახურს. **(ამ სიტყვებს ყველა დამსწრე მჭუხარე ოვაციით ხვდება. სხდომის მონაწილენი ფეხზე დგებიან. დარბაზში დიდ ხანს გაისმის მჭუხარე ტაში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ქალის როლზე მშვიდობისათვის ბრძოლაში და აღნიშნავს, რომ წელს 8 მარტის — ქალთა საერთაშორისო დღის — დღესასწაულმა უმაგალითო მასშტაბი მიიღო.

მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე ლაპარაკობს ფრანგ ქალებზე, რომლებიც აქტიურ ბრძოლას ეწეოდნენ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ და აშკარავებდნენ მას როგორც ომის იარაღს, ლაპარაკობს იტალიელ ქალებზე, რომლებიც მთელ იტალიელ ხალხთან ერთად დაუღალავად იბრძვიან მშვიდობისათვის.

ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატორები სკანდინავიის ქვეყნებში ქალები იყვნენ.

საფრთხის წინააღმდეგ თავისი ბრძოლა გააძლიერა, აქტიური გახადა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ბრიტანეთის სექციამ, რომელმაც ინგლისში მოაწყო „მშვიდობის ავტობუსების“ მოგზაურობა.

შემდეგ მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე ლაპარაკობს ამერიკელი ქალების ბრძოლაზე მშვიდობისათვის.

მომხსენებელი ახასიათებს ჰოლანდიელი, ფრანგი ქალების როლს იმ ომების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებსაც ამ ქვეყნების მთავრობები ეწევიან ინდონეზიასა და ვიეტნამში, ლაპარაკობს ბერძენი ქალების მონაწილეობაზე თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ესპანელი ქალების ბრძოლაზე ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ, გერმანელ ქალთა დემოკრატიული კავშირის მოღვაწეობაზე, რომელიც თავის რიგებში 300 ათასზე მეტ ქალს ითვლის.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე, სადაც ქალები სარგებლობენ ისეთივე უფლებებით, როგორც მამაკაცები, და აქტიურ მონაწილეობას იღებენ თავიანთ სახელმწიფოთა მთელ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალები უპასუხებენ მეორე კონგრესის მოწოდებას და იბრძვიან თავიანთი ქვეყნების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მთელ მსოფლიოში დემოკრატიის განმტკიცებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

შემდეგ მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის ქალების ბრძოლაზე მშვიდობისათვის.

მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე ახასიათებს მშვიდობისათვის საყოველთაო სახალხო მოძრაობის უდიდეს მასშტაბს და ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ერთი წუთით შესუსტდეს სიფხიზლე. ჩვენ, — ამბობს იგი, — დაუღალავად უნდა ვეძიოთ საშუალებანი მშვიდობის დასაცავად ჩვენი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის. ეს საქმიანობა უნდა მივიჩნიოთ ჩვენს ძირითად ამოცანად, რომელსაც უნდა მოვახმაროთ მთელი ჩვენი ღონისძიებანი. მონაწილეობა უნდა მივიღოთ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მიერ რეკომენდებული მასობრივი კამპანიის ჩატარებაში საბერძნეთში, ვიეტნამში, ინდონეზიასა და მალაიაში ომის შესაწყვეტად, შეიარაღების დაუყოვნებლივ შესამცირებლად, ატომური იარაღის ასაკრძალავად და დიდი სახელმწიფოების მიერ მშვიდობის პაქტზე ხელმოსაწერად.

მარი-კლოდ ვაიან-კუტიურიე მოხსენებას ამთავრებს და მოუწოდებს გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. ყოველი ჩვენგანი, — ამბობს იგი, — თავის ქვეყანაში დაბრუნდება ახალი ძალებით და ენთუზიაზმით შეუდგება მშვენიერი ამოცანის შესრულებას — მშვიდობის განმტკიცებას. (ტაში).

მოხსენების შემდეგ პირველი სიტყვა ეძლევა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა დელეგატს.

ჩინეთის დელეგატი ლაპარაკობს იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც ჩინელი ქალების ცხოვრებაში მოხდა, პოლიტიკურ და ეკონომიურ უფლებებზე, რომლებიც მათ სახალხო მთავრობამ მიანიჭა.

— ჩინელი ქალები, — განაგრძობს შემდეგ სიტი გუან-პინი, — სულითა და გულით უპირველეს მხარს სახალხო ცენტრალურ მთავრობას და დარწმუნებული არიან, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცე მშვიდობის მძლავრი ბურჯი გახდება წყნარ ოკეანეზე და მთელ მსოფლიოში.

პოლონეთის ქალთა ლიგის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ორლოვსკამ მილიონობით პოლონელ ქალთა სახელით გულთადი სალამი გადასცა მსოფლიოს დემოკრატ ქალთა 80-მილიონიანი არმიის წარმომადგენლებს.

ე. ორლოვსკამ განაცხადა, რომ პოლონეთის ქალთა ლიგის ხელმძღვანელობამ თავის მილიონობით წევრთა სახელით მიმართა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოს და წინადადება მისცა გამორიცხოს ფედერაციის რიგებიდან იუგოსლავიის ახლანდელი წარმომადგენლები, რომლებიც არათუ არ გამოსულან ტიტოს ბანდის დანაშაულებრივი, გამცემლური საქმიანობის წინააღმდეგ, არამედ მხარსაც უჭერენ იუგოსლავიის ახლანდელი ბატონების პოლიტიკას. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, თქვა ე. ორლოვსკამ, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციიდან იუგოსლავიის წარმომადგენელთა გარიცხვის საკითხზე აზრთა სრული თანხმობაა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ეროვნულ სექციებში.

ამერიკელ ქალთა კონგრესის აღმასკომის წევრმა ქ-ნმა ესლანდა რობსონმა ხაზგასმით აღნიშნა საჭიროება მთელი მსოფლიოს ქალთა ღონისძიებების გაერთიანებისა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

— ჩინელი ქალები, — განაგრძობს შემდეგ სიტი გუან-პინი, — სულითა და გულით უპირველეს მხარს სახალხო ცენტრალურ მთავრობას და დარწმუნებული არიან, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცე მშვიდობის მძლავრი ბურჯი გახდება წყნარ ოკეანეზე და მთელ მსოფლიოში.

პოლონეთის ქალთა ლიგის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ორლოვსკამ მილიონობით პოლონელ ქალთა სახელით გულთადი სალამი გადასცა მსოფლიოს დემოკრატ ქალთა 80-მილიონიანი არმიის წარმომადგენლებს.

ე. ორლოვსკამ განაცხადა, რომ პოლონეთის ქალთა ლიგის ხელმძღვანელობამ თავის მილიონობით წევრთა სახელით მიმართა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოს და წინადადება მისცა გამორიცხოს ფედერაციის რიგებიდან იუგოსლავიის ახლანდელი წარმომადგენლები, რომლებიც არათუ არ გამოსულან ტიტოს ბანდის დანაშაულებრივი, გამცემლური საქმიანობის წინააღმდეგ, არამედ მხარსაც უჭერენ იუგოსლავიის ახლანდელი ბატონების პოლიტიკას. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, თქვა ე. ორლოვსკამ, რომ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციიდან იუგოსლავიის წარმომადგენელთა გარიცხვის საკითხზე აზრთა სრული თანხმობაა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ეროვნულ სექციებში.

ამერიკელ ქალთა კონგრესის აღმასკომის წევრმა ქ-ნმა ესლანდა რობსონმა ხაზგასმით აღნიშნა საჭიროება მთელი მსოფლიოს ქალთა ღონისძიებების გაერთიანებისა მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტრიბუნაზეა საბერძნეთის ქალთა დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი რულა კუკულუ. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საბერძნეთის გმირი ხალხის წარმომადგენელს.

რულა კუკულუ დაწვრილებით ჩერდება საბერძნეთის დემოკრატ ქალთა გმირულ ბრძოლაზე. ამ ბრძოლის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა — საბერძნეთის ქალთა კავშირმა თავისი მოღვაწეობა [illegible] ნდობა მოიპოვა.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობს ამერიკელ ქალთა კონგრესის თავმჯდომარე მიურიელ დრეიპერი.

სიტყვა პირველს ეძლევა იტალიის დელეგაციის მეთაურს ქ-ნ მარიამ მადალენა როსის, რომელმაც აღნიშნა, რომ ძლიერ განვითარდა იტალიელი ხალხის ბრძოლა მშვიდობისათვის.

დელეგატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ესპანელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირი მებრძოლის დოლორეს იბარურის გამოჩენას ტრიბუნაზე. მას გულში ჩამწვდომი სიტყვა არაერთხელ შეაწყვეტინეს ტაშით.

დოლორეს იბარური აღნიშნავს, რომ ამერიკელები ვარაუდობენ გამოიყენონ ესპანეთი როგორც პლაცდარმი და ბაზა ომისათვის, აგრესიისათვის. ყველა ხალხის ინტერესები მოითხოვს, ამბობს იგი, რომ ფრანკისტული რეჟიმისათვის დახმარების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა იყოს არა მარტო ინგლისისა და შეერთებული შტატების მშრომელთა და პროგრესულ ადამიანთა დღის წესრიგში, არამედ ყველა იმ მამაკაცისა და ქალის დღის წესრიგშიც, რომლებიც მსოფლიოს ყოველ კუთხეში იბრძვიან ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად.

გერმანიის ქალთა დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ქ-ნი ელი აკერმან-შმიდტი ამბობს, რომ გერმანიის ქალთა დემოკრატიულ კავშირს თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია ცოლებისა და დედების მობილიზაცია მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, გერმანიის ერთიანობისათვის საბრძოლველად.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ვიეტნამის ქალთა დელეგატმა და ფინეთის ქალთა დელეგატმა ქ-ნმა ნევალაინენმა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეს, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოპოვას.

ნ. ვ. პოპოვა ლაპარაკობს უცხო ქვეყნების — საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ბელგიის, დანიისა და სხვა ქვეყნების ქალთა განუწყვეტლივ მზარდ ბრძოლაზე მშვიდობისათვის. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამავე დროს უდიდესი შეცდომა იქნებოდა, თუ თავიანთი წარმატებებით დაკმაყოფილებული ქალთა ეროვნული დემოკრატიული ორგანიზაციები შეასუსტებდნენ მშვიდობისათვის ბრძოლას. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია და მისი ეროვნული ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ, რომ მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა ერთი წუთითაც არ წყდებოდეს, რომ ამ ბრძოლაში ჩაებას მსოფლიოს ყველა მშრომელი ქალი.

დასასრულ ნ. ვ. პოპოვამ ათეულ მილიონობით საბჭოთა ქალის სახელით განუცხადა სესიას, რომ საბჭოთა ქალები მიდიოდნენ და მუდამ იქნიან მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

— ჩვენ დავიცავთ მშვიდობის საქმეს იმიტომ, რომ სამართლიანობისა და ბედნიერებისკენ ამ მძლავრ სახალხო მოძრაობას სათავეში უდგას ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დიდი მედროშე, მთი თავისუფლებისა და უშიშროების დამცველი, ხალხთა ბელადი, საუკეთესო მასწავლებელი და მეგობარი, ჩვენი მშობლიური სტალინი! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გაისმის მისალმებანი ი. ბ. სტალინის პატივსაცემად. ოვაცია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის პატივსაცემად რამდენიმე წუთს გრძელდება).** (საკდესი).

ნოვაგორის დღე ბუქარესტში

ბუქარესტი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ბუქარესტში არლიუსის (სსრ კავშირთან ურთიერთობის განმტკიცების საზოგადოება) კულტურის სახლში მოეწყო ნოვატორის დღე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რუმენეთის დედაქალაქის საწარმოთა მრავალმა მოწინავემ და ნოვატორმა. განხილულ იქნა საბჭოთა ფეიქრების მარიამ როენგვას და ლიდა კონონენკოს შრომის მეთოდები. ფაბრიკა „პოსტიგორნია რომინას“ მოწინავე ფეიქრებმა ერთმანეთს გაუზიარეს შრომის საბჭოთა მეთოდების გამოყენების თავიანთი გამოცდილება.

გერმანელი ხალხის დელეგაციები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკთან

ბერლინი, 16 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკთან გერმანელი ხალხის მრავალი დელეგაცია მიდის.

ამას წინათ ვ. პიკს ეწვია რადებერგის (დრეზდენი) სახალხო საწარმოს „ზაქსენვერკის“ ახალგაზრდა აქტივისტების დელეგაცია, რომელმაც პრეზიდენტს გადასცა თავისი კოლექტივის სალამი და ამ ქარხნის გაკეთებული მეორმოცდაერთიათასი ელექტრომოტორი.

დელეგაციის წევრებმა ქარხნის კოლექტივის სახელით პირობა მისცეს პრეზიდენტს, მთელ ძალღონეს იმას მოვახმართ, რომ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება გავადიდოთო.

ვ. პიკმა მადლობა გადაუხადა დელეგატებს საჩუქრისათვის და განაცხადა, ეს მოტორი მანქანათგასაჭირავებელი სადგურის ერთ-ერთ ახალგაზრდულ კოლექტივს გადაეცემაო.

მაგდებურგის ვილჰელმ პიკის სახელობის ხე-ტყის სახერხი ქარხნის ახალგაზრდული კოლექტივის დელეგატებმა აცნობეს პრეზიდენტს თავიანთი ქარხნის რეკონსტრუქციის ამბავი და გააცნეს ამ საწარმოს გაფართოების პროექტი. პრეზიდენტმა საჭირო დახმარება აღუთქვა მათ ამ პროექტის რაც შეიძლება მალე განხორციელებაში.

დიდი ძალა მშვიდობისათვის ბრძოლაში

დღითიდღე ძლიერდება ხალხის მასების მოძრაობა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. დემოკრატიული ბანაკი ამჟამად მთელი საერთაშორისო ვითარების ძლავრ ფაქტორად გადაიქცა. მშვიდობისათვის ბრძოლაში უდიდეს ძალას წარმოადგენს ქალთა დემოკრატიული მოძრაობა.

„ჩაგრულთა არცერთ დიდ მოძრაობას, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — კაცობრიობის ისტორიაში არ ჩაუვლია ისე, რომ მასში მონაწილეობა არ მიეღოთ მშრომელ ქალებს. მშრომელი ქალები, ჩაგრულთა შორის ყველაზე მეტად ჩაგრულნი, მუდამ მონაწილეობდნენ და არც შეეძლოთ არ მიეღოთ მონაწილეობა დიდ განმათავისუფლებელ მოძრაობაში“.

ხალხთა დიადი მოძრაობა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ახალი ძალით ცხადყოფს, რომ ქალებს არ შეუძლიათ და არ სურთ განზე გაუდგნენ მთელი პროგრესული კაცობრიობის საერთო საქმეს. ოთხმოცი მილიონი უკვე გაერთიანდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში. მათ მიჰყვებიან ქალთა სულ ახალი და ახალი მასები, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს მშვიდობისათვის ბრძოლას.

იმპერიალისტი ფაშისტი ავაზაკების მიერ გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომი ტრაგედია იყო ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილის მილიონობით ქალთათვის. ქალაქების დაბომბვა, სახლების დანგრევა, სოფლების გადაწვა, შვილების საშინელი დაღუპვა, ნათესავთა და მახლობელთა დაკარგვა — ყოველივე ეს გამოსცადეს იმ ქვეყნების ქალებმა, რომლებსაც თავს დაესხნენ ფაშისტთა არმიები. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქალებმა გამოსცადეს მონობის სირცხვილი, ნამუსის ახდა, შიმშილი, სიღატაკე. საშინელი წამება საკვდილის ბანაკებში.

მხოლოდ იმას, ვინც თავბრუდახვეული გენერალი ბრედლი, სწორედ ის ბრედლი, რომელსაც დაბომბვა „ჰუმანურ ომად“ მიაჩნია, პარიზს ჩავიდა, პარიზელ ქალთა მასობრივმა დემონსტრაციებმა ცხადყვეს, რომ ფრანგ ქალებს მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ დანაშაულებრივი გეგმები ჩაუშალონ მსოფლიო ბატონობის ოკეანესგაღმელ პრეტენდენტებს.

ქალები მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგანან იტალიაშიც. რვა მილიონმა იტალიელმა მოაწერა ხელი პეტიციას ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ. სახლიდან სახლში, სოფლიდან სოფელში, უბნიდან უბანში დადიან იტალიელ ქალთა კავშირის წევრები, განუმარტავენ ხალხს პაქტის აგრესიულ ხასიათს და პეტიციაზე ხელმოწერას აგროვებენ. იტალიელ ქალთა კავშირის წევრები არა მარტო თვითონ ილაშქრებენ ომის მომზადების წინააღმდეგ, არამედ გვევლინებიან როგორც პოლიტიკურად მომწიფებული პროპაგანდისტები და ორგანიზატორები. მოკლე ხანში იტალიელ ქალთა კავშირმა ერთიორად და უფრო მეტად გაადიდა თავისი რიგები და ამჟამად წარმოადგენს არმიას რომელიც მილიონზე მეტი ადამიანისაგან შედგება.

ინგლისში, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რასაც ლეიბორისტული მთავრობა და ჩერჩილის ხროვა ქმნიან, იზრდება და ფართოვდება ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის. ამ უკანასკნელ ხანს მშვიდობის დასაცავად გამართული მიტინგები და დემონსტრაციები, მშრომელთა მოთხოვნები ინგლისიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შესახებ მოწმობენ, რომ ძლიერდება ინგლისის ხალხის მასების უკმაყოფილება ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა პოლიტიკის გამო.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ფართოვდება პროგრესულ ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის, მოძრაობა მმართველი წრეების ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკელი რეაქციონერები პროპაგანდის ყველა საშუალებას მიმართავენ ხალხის მოსატყუებლად, რათა მით უფრო გაუადვილდეთ მისი გადაქცევა უოლსტრიტის დაპყრობითი გეგმების მორჩილ შემსრულებლად. მაგრამ მიუხედავად ომის გამჩაღებელთა იმპერიალისტური ტერორისა და ყალთაბანდიური ფანდებისა, სულ უფრო მეტი ამერიკელი ქალი დგება მშვიდობის მომხრეთა რიგებში. ამერიკელ ქალთა კონგრესმა პროტესტი განაცხადა ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის წინააღმდეგ და მოითხოვა ბოლო მოეღოს იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მილიტარიზმის თარეშისაკენ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოთხრისაკენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისშია ახალი ომის მომზ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). 15 ნოემბრის დილისა და დღის სხდომებზე პოლიტიკურ კომიტეტში ირჩეოდა საბჭოთა დელეგაციის წინადადებანი ახალი ომის მომზადების დაგმობისა და მშვიდობის განსამტკიცებლად ხუთი სახელმწიფოს პაქტის დადების შესახებ. საბჭოთა კავშირის წინადადებებმა, რომლებიც მიმართულია ახალი ომის მომზადების დაგმობისაკენ, ატომური იარაღის აკრძალვისა და ამ აკრძალვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისაკენ, წინადადებებმა, რომლებიც მოითხოვენ, რომ ხუთმა დიდმა სახელმწიფომ — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, ჩინეთმა, საფრანგეთმა და სსრ კავშირმა, რომელთაც აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, ერთმანეთს შორის დადონ პაქტი მშვიდობის განსამტკიცებლად, დაბნეულობა გამოიწვია ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნებში. ამ ბლოკს წარმომადგენლებმა გაილაშქრეს საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირს დასწამეს ცილი და დაამახინჯეს ფაქტები. მათი გამოსვლები ბოლომდე აუკარავებენ ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობას მშვიდობის დადებითი პროგრამისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიმუშავა, და ნიღაბს ჭგლეჯენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებს და მათს დამჭაშებს, რომლებიც თავს მშვიდობის მომხრეებად ასაღებენ, ხოლო ცდილობენ ჩაშალონ საბჭოთა კავშირის კონკრეტულ წინადადებათა მიღება.

სალვადორის წარმომადგენელი კასტრო თავის სიტყვაში ამტკიცებდა, რომ საბჭოთა წინადადება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ თითქოს მშვიდობის განმტკიცების მუშაობაში მონაწილეობიდან გამორიცხავ. პატარა სახელმწიფოებს.

საფრანგეთის დელეგატმა შოველმა ფარისეულურად განაცხადა, საბჭოთა წინადადებები პოლიტიკურ კომიტეტში განხილვის ღირსიაო, ხოლო ამავე დროს გაამეორა ამერიკის დელეგატის განცხადება, თითქოს საბჭოთა წინადადებანი „პროპაგანდას“ წარმოადგენენ.

დანიისა და პერუს წარმომადგენლებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ ინგლის-ამერიკის წინადადებას.

კანადის წარმომადგენელი ცდილობდა უარეყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოლიტიკის აგრესიული ხასიათი, ამტკიცებდა, თითქოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულება არ წარმოადგენს „საშიშ ფაქტორს საერთაშორისო ასპარეზზე“, და დაუშვა უხეში ცილისმწამებელური გამოხდომანი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი კლიმენტისი თავის სიტყვაში მიესალმა „აბჭოთა წინადადებებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობის დამყარებისაკენ და რომლებიც სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ კეთილშობილური მიზნის მისაღწევად.

ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ გენერალურმა ასამბლეამ მუშაობა დაიწყო მნიშვნელოვნად უკეთეს ატმოსფეროში, ვიდრე გენერალური ასამბლეის წინანდელმა სესიებმა. ეს აიხსნება, განაცხადა კლიმენტისმა, არა იმით, რომ თავიდან მოშორებული არიან ახალი ომის გამჩაღებლები, არამედ იმით, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა საერთაშორისო ვითარება, რასაც მოწმობენ ისტორიული ამბები ჩინეთში და მძლავრი მოძრაობა მშვიდობის სასარგებლოდ დედამიწის ყველა ქვეყანაში. მან გაიხსენა, რომ კომიტეტებში წარმოებული დისკუსია, აგრეთვე უმრავლესობის მიერ თავსმოხვეული მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ცხადყოფენ, რომ ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აწარმოონ შეუწყნარებლობისა და დიქტატის პოლიტიკა და სრულებით არ გაუწიონ ანგარიში გაერთიანებული ერების ინტერესებსა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებთან თანამშრომლობის ინტერესებს. ეს, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლის აზრით, მხოლოდ აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და არ ეშიძლება არ გამოიწვიოს მთელი მსოფლიოს ხალხთა აღშფოთება. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა აღნიშნა სულ უფრო მზარდი საომარი პროპაგანდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და კომიტეტის წევრთა აყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, თუ როგორ შეიცვალა ამ პროპაგანდის მეთოდები იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ატომის მონოპოლია გაქრა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების პრესა მთლიანად მიძღვნილია მშვიდობისმოყვარე სოციალისტური საზოგადოების სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გაშუქებისადმი. ამ პრესაში ერთი სიტყვაც არ არის ახალი ომისათვის მზადებაზე. ამავე დროს კაპიტალისტური ქვეყნების პრესა, იმყოფება რა კაპიტალისტური მონოპოლიების სამსახურში, აღვივებს ომის ისტერიას და ავსება სენსაციური, ცილისმწამებლურად შეთითხნილი ვერსიებით, თითქოს საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ომისათვის მზადება წარმოებდეს.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებში წარმოებს იდეოლოგიური, ეკონომიური და პოლიტიკური მზადება ახალი ომისათვის. კლემენტისმა მოიყვანა მთელი რიგი საინტერესო მაგალითები, რომლებიც მოწმობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ომის ისტერიის გაღვივებას.

მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ ერთერთ ოფიციალურ სხდომაზე გენერალმა ეიზენჰაუერმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ „მთელი მსოფლიო გაამთრახონონ“. სამხედრო ენით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს აკისრიათ უშუალო პასუხისმგებლობა მთელ მსოფლიოში მდგომარეობისათვის. შეერთებულ შტატებში ასეთივე აზრისა არიან არა მარტო სამხედრო მოღვაწეები, არამედ ბევრი მწერალიც. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მოიყვანა გაზეთების მთელი რიგი ამონაწერები, რომლებშიც ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოწოდებული არიან წესრიგი დაამყარონ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელებს ახალი ომისათვის მზადებაში იმედი აქვთ არა მარტო დასავლეთ გერმანიის დახმარებისა, არამედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში იაპონიის შეიარაღებული ძალების მონაწილეობისაც. მაგალითად, ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, იაპონიაში ამერიკის საოკუპაციო ძალების ყოფილმა მეთაურმა განაცხადა, რომ იაპონია შეერთებულ შტატებს დახმარებას გაუწევს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში. რუსები, განაცხადა მან, დაინახავენ, თუ რა მოკავშირეები გვყავს— 85 მილიონი იაპონელი ჩვენს მხარეზე იქნება. ამ გენერალმა იქვე დაახასიათა იაპონელი ჯარისკაცები. იაპონელები, მისი აზრით, განსაცვიფრებელი ჯარისკაცები არიან. ისინი იბრძვიან, სანამ არ დაიხოცებიან.

მთელმა ამ ფაქტებმა და სიტყვებმა, განაცხადა კლემენტისმა, ის შექმნეს, რასაც ეწოდება ატმოსფერო ცივი ომისა, რომელსაც შეერთებულ შტატებში სისტემატურად და მასობრივი მასშტაბით ეწევიან. შემდეგ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ და პოლიტიკურ მზადებას ომისათვის.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატი დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა კავშირის წინადადებათა ყველა პუნქტზე და ამასთან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ წინადადებებში ყოველი სიტყვა მიმართულია მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისაკენ, საერთაშორისო თანამშრომლობის შექმნისაკენ და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისაკენ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმ გააკრიტიკა რეზოლუციის ამერიკული პროექტი და განაცხადა, რომ რეზოლუციის ამერიკული პროექტი ცუდად სცვლის და უხეიროდ უვლის გვერდს კონკრეტულ პრობლემას, რომელსაც საბჭოთა წინადადებანი შეიცავენ. ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, თქვა მან, ხმას მისცემს საბჭოთა კავშირის წინადადებათა მიღების სასარგებლოდ.

ამ საკითხის განხილვა გაგრძელდება შემდეგ სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). 14 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა რეზოლუციების იმ ხუთი პროექტისათვის კენჭისყრას, რომლებიც წარდგინეს სსრ კავშირის, კანადისა და საფრანგეთის, ინდოეთის, ჰაიტისა და არგენტინის დელეგაციებმა.

რეზოლუციის საბჭოთა პროექტი წინადადებას აძლევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას დაავალოს ატომის კომისიას განაახლოს თავისი მუშაობა გენერალური ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრისა და 14 დეკემბრის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად და დაუყოვნებლივ შეუდგეს ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის პროექტისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის შესახებ კონვენციის პროექტის შემუშავებას, რათა ორივე კონვენცია ერთდროულად დაიდოს და ამოქმედდეს.

კანადა-საფრანგეთის პროექტი სრულიად უვლის გვერდს ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს და მიზნად ისახავს საერთაშორისო კონტროლის სახით სუვერენულ სახელმწიფოთა ეკონომიკა დაუქვემდებაროს ამერიკის მონოპოლიების განუყოფელ ბატონობას. ეს პროექტი ცდილობს გაიყვანოს თეზისი იმის საჭიროების შესახებ, რომ საწარმოები, რომლებიც ატომის მასალებსა და ატომის ენერგიას აწარმოებენ, საკუთრებად გადაეცეს ატომის ამერიკულ ბერტესტს. რეზოლუციის პროექტის ავტორებს, რომლებიც ცდილობენ ატომის ენერგიის კომისიის საქმიანობა შეცვალონ ამ კომისიის ექვსი მუდმივი წევრის კონსულტაციის განგრძობით, საქმე ამ კომისიის ლიკვიდაციისაკენ მიჰყავთ.

რეზოლუციის ინდოეთის პროექტი ითვალისწინებს, რომ ატომის საკითხი უნდა გადაეცეს საერთაშორისო სამართლის კომისიას, რომელმაც დეკლარაციას საფუძვლად უნდა დაუდოს მთელი რიგი სახელმწიფოების და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მიერ უარყოფილი ამერიკული გეგმა.

რეზოლუციის ჰაიტის პროექტი ითვალისწინებს ატომური იარაღის კანონგარეშე გამოცხადებას მას შემდეგ, რაც დაწესდება საერთაშორისო კონტროლის პროცედურა. მაგრამ ამ პროექტისათვის კენჭი არ უყრიათ, ვინაიდან ჰაიტის წარმომადგენელმა უკან წაიღო რეზოლუციის პროექტი და განაცხადა, რომ „ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც ეგი ცდილობდა, თითქოს უკვე მიღწეულია რეზოლუციის საფრანგეთ-კანადის პროექტში“.

რეზოლუციის არგენტინის პროექტი რეკომენდაციას იძლეოდა, რომ ატომის ენერგიის კომისიის მუდმივმა წევრებმა ყოველი ღონე იხმარონ, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაიდოს დროებითი შეთანხმება, რომელიც ყოველ შემთხვევაში გაითვალისწინებს აგრესიის მიზნებით ატომური იარაღის გამოყენებაზე უარის თქმას.

რეზოლუციის კანადა-საფრანგეთისა და ინდოეთის პროექტები, როგორც სრულიად მიუღებელი და ისეთი, რომლებიც არ უზრუნველყოფენ არც ატომური იარაღის აკრძალვას, არც მისი აკრძალვისადმი ზუსტ კონტროლს, მკაცრად გაკრიტიკეს და საბჭოთა პროექტი დაიცვეს სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა, უკრაინის სსრ დელეგაციის მეთაურმა დ. ზ. მანუილსკიმ, პოლონეთის წარმომადგენელმა ნაშკოვსკიმ.

ბრაზილიის, ეგვიპტის, არგენტინის, ბოლივიისა და ეკვადორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ რეზოლუციის საფრანგეთ-კანადის პროექტს.

კენჭისყრის შედეგად 48 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ (ორმა თავი შეიკავა) მიღებულ იქნა რეზოლუციის კანადა-საფრანგეთის პროექტი.

სსრ კავშირის, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ხმა მისცეს ამ რეზოლუციის წინააღმდეგ.

ინდოეთის დელეგაციის პროექტი უარყოფილ იქნა 24 ხმით (15 დელეგაციამ ხმა მისცა წინააღმდეგ, 18 დელეგაციამ თავი შეიკავა).

შემდეგ სახელმძღვანელო კენჭისყრით სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის ურავლესობამ ინგლის-ამერიკის ბლოკის აშკარა ზეგავლენით უარყო სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი, რომლებიც შეიცავდნენ პრაქტიკულ და მალე განსახორციელებელ წინადადებებს ატომური იარაღის აკრძალვისა და ატომის ენერგიისადმი კონტროლის შესახებ.

კომიტეტის უმრავლესობამ უარყო აგრეთვე რეზოლუციის არგენტინის პროექტი.

ამრიგად, საკითხის განხილვისა და შემდგომი კენჭისყრის შედეგად, კომიტეტმა უარი თქვა მიეღო რეზოლუციის საბჭოთა კავშირის პროექტი, რომელიც მიმართულია ატომური იარაღის აკრძალვის საკითხზე შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღწევისაკენ და, მიიღო რა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ზეგავლენით საფრანგეთ-კანადის რეზოლუციის პროექტი, დაადგა ამ უმნიშვნელოვანესი ალაფის საკითხის გადაჭრის შემდგომი გაჭიანურებისა და ჩაშლის გზას.

სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გუიანი დაიკავა

პეკინი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, 15 ნოემბერს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა დაიკავეს გუიჯოუს პროვინციის დედაქალაქი გუიანი. გუიანი გუიჯოუს პროვინციის ცენტრში მდებარეობს და წარმოადგენს გუილინის, ჩუნცინის, კუნმინისა და ჩანშასაკენ მიმავალ გზატკეცილთა შესაყარ ცენტრს. ამრიგად, ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები, სადაც გომინდანელთა ძალები წინააღმდეგობის უკანასკნელი ბაზის შექმნას ამპირებდნენ, ორ ნაწილად არის გათიშული.

4-დან 15 ნოემბრამდე სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა გუიჯოუს პროვინციის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილებში 16 სამაზრო ქალაქი დიკავეს და წინ მიიწევენ პროვინციის სიღრმეში. განადგურებული გომინდანელთა ჯარები დასავლეთისაკენ გაიქცნენ. ტყვედ წამოყვანილია თითქმის 3 ათასი გომინდანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

უფრო ჩრდილოეთით სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარები, რომლებიც დასავლეთ ხუნანიდან მიიწევენ, სიჩუანის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში შეიჭრნენ და 12 ნოემბრამდე გაათავისუფლეს სამაზრო ქალაქები სიუშანი, იუიანი და ციანძიანი.

ამავე დროს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა დაიკავეს ექვსი სამაზრო ქალაქი ხუნანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში და მთელი რიგი სამაზრო ქალაქები ხუბეის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ამ ქალაქებს შორის არის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ცენტრი ენში.

პროფესორები ავსტრალიის კომპარტიის გენერალური მდივნის შარკის დაპატიმრების წინააღმდეგ

სიდნეი, 17 ნოემბერი. (საკდესი). მატულობს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის შარკის დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტების რიცხვი. მშვიდობის დაცვის პრესტონის (ვიქტორიის შტატი) კრების მონაწილეებმა პრემიერ-მინისტრ ჩიფლის გაუგზავნეს პროტესტი და მოითხოვეს გაუქმდეს ეგრეთ წოდებული „კანონი დანაშაულებათა შესახებ“, რომლის საფუძველზეც გამოუტანეს განაჩენი შარკის.

ანალოგიური რეზოლუცია მიიღო სიდნეის ბრედფორდ კენდოლის ფაბრიკის მუშათა კრებამ.

მრავალი პროტესტი მოვიდა უცხოეთიდან: ჩინეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბულგარეთის, ისრაელის, ახალი ზელანდიის კომუნისტური პარტიებისაგან, კუბის სახალხო-სოციალისტური პარტიისაგან, კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიისა და მრავალი სხვა ორგანიზაციისაგან.

დემოკრატი ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის მიერ ჩიფლისათვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია:

„17 ქვეყნის 60 მილიონი წევრის სახელით უაღრესად მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ შარკის დაპატიმრების წინააღმდეგ. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, აცხადებს რა ამ პროტესტს ავსტრალიის მუშათა კლასისა და ავსტრალიაში მშვიდობისათვის მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ხელმძღვანელის უსამართლოდ დაპატიმრების წინააღმდეგ, სავსებით უერთდება ათასობით ანალოგიურ პროტესტს, რომლებიც მიღებულია მთელი მსოფლიოს დემოკრატებისაგან და განსაკუთრებით ავსტრალიის მუშათა კლასისა და ახალგაზრდობისაგან“.

დემოკრატი ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ გაუქმდეს შარკისათვის გამოტანილი განაჩენი და დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს შარკი.

ირანის შაჰი ვაშინგტონს ჩავიდა

ვაშინგტონი, 17 ნოემბერი. (საკდესი). 16 ნოემბერს ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი თვითმფრინავით ვაშინგტონს ჩამოვიდა. კომენტარს უკეთებს რა მის ჩამოსვლას, ამერიკის პრესა მოსაზრებას გამოთქვამს, რომ შაჰთან ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ პირთა მოლაპარაკების საგანი იქნება სამხედრო და ეკონომიური საკითხები.

წევრთა მასობრივი გასვლა „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციიდან

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს: „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციის წევრებმა, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს ამ ორგანიზაციასთან, ასოციაციის თავმჯდომარეს რენე კასენს გაუგზავნეს შემდეგი წერილი:

„წინააღმდეგობის მოძრაობის დროს შექმნილმა „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციამ მიზნად დაისახა ორ ხალხს შორის კულტურული და სხვა კავშირის განმტკიცება; საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის მონაწილე ამ ხალხებს უნდოდათ უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი, დახმარებოდნენ ერთმანეთს სრული ნდობითა და პატივისცემით და განეხორციელებინათ პროგრესისა და მშვიდობის იდეალი.

მაგრამ იუგოსლავიის ახლანდელმა მთავრობამ შეურაცხყო თავისი ქვეყნის განმათავისუფლებლები — საბჭოთა არმიის გმირები, გამოამჟღავნა თავისი ზრახვები და აიხადა ნიღაბი, რითაც ცხადყო, რომ თავი მიჰყიდა ომის გამჩაღებლებს და შევიდა კოალიციაში, რომლის შექმნასაც საერთაშორისო კაპიტალიზმი ცდილობს მშვიდობისმოყვარე ხალხების და მათი დამცველი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ბერძენ პატრიოტებს ზურგში ჩასცეს ლახვარი; წინააღმდეგობის მოძრაობის დროს ათასობით მებრძოლი იუგოსლავიელი პატრიოტი, თავისი ქვეყნის განმათავისუფლებელი და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამცველი, საპყრობილეებშია გამომწყვდეულნი; მრავალი თვის განმავლობაში არავინ იცის, თუ სად იმყოფებიან ისინი, ბევრი მათგანი დახოცილია. ამავე დროს იუგოსლავიის მთავრობა თავისი დანაშაულობისათვის დოლარებსა და იარაღს ღებულობს ინგლისელი და ამერიკელი კაპიტალისტებისაგან.

„საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციის ქვეშოთ ხელმოწერ წევრებს ეყვათ გმირი იუგოსლავიელი ხალხი, რომელიც ესოდენ ბევრი რამ გაკეთა მსოფლიოს განთავისუფლებისათვის, და სურთ დარჩნენ იმ ხალხის ერთგულ მეგობრებად, რომელიც ტრაგიკულად მოატყუეს ერთმა მუჭა გამცემლებმა. „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციის წევრებს თავიანთ მოვალეობად მიიჩნიათ გავიდნენ ამ ორგანიზაციიდან. მათ განზრახული აქვთ გაერთიანდნენ ახლად შექმნილ „საპყრობილეებში დამწყვდეულ და ტიტოს მთავრობის მიერ დევნილ იუგოსლავიელ დემოკრატთა დაცვის კომიტეტში“, რათა მთელი ძალღონით დაეხმარონ იუგოსლავიელ ხალხს ტირანიის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში და გამარჯვება მოაპოვებინონ მას.

მოვუწოდებთ „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციის წევრ ყველა პატიოსან და გულწრფელ დემოკრატს მიბაძოს ჩვენს მაგალითს“.

წერილს ხელს აწერენ „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციის 26 საპატიო წევრი, მათ შორის კაშენი, ჟოლიო-კიერი, ლუი საიანი და მორის ტორეზი, აგრეთვე ასოციაციის 272 წევრი.

პარიზი, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ვიუწყებოდით, საფრანგეთში შეიქმნა ახალი ორგანიზაცია—„საპყრობილეებში დამწყვდეულ და ტიტოს მთავრობის მიერ დევნილ იუგოსლავიელ დემოკრატთა დაცვის კომიტეტი“.

ამ კომიტეტს სულ ახლა-ახალი მომხრენი უერთდებიან. მაგალითად „საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციის 300 წევრმა და ხელმძღვანელმა ტიტოს და მისი ხროვის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად განაცხადა, რომ ასოციაციიდან გადის და უერთდება „საპყრობილეებში დამწყვდეულ და ტიტოს მთავრობის მიერ დევნილ იუგოსლავიელ დემოკრატთა დაცვის კომიტეტს“.

„საფრანგეთ-იუგოსლავიის“ ასოციაციიდან გასულ პირთა შორის, კერძოდ, არიან: ასოციაციის გენერალური მდივანი სოლანე მორენი, ასოციაციის ვიცე-თავმჯდომარე ანრი ბალონი, ასოციაციის ადმინისტრაციული საბჭოს წევრები პროფესორი ეჟენ ობელი, ფლორიმონ ბონტი, ცნობილი დირიჟორი როჟე დეზორმიერი, პიერი პოლ ელუარი, აგრეთვე ასოციაციის ხელშემწყობი კომიტეტის წევრები ლუი არაგონი, ჟურნალისტი ანდრე კარელი, პიერ კოტი, ბენუა ფრაშონი, გენერალი ჟენენვილი, კლოდ მორგანი და სხვ.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების ამერიკული გეგმები

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი ჰაიტაერი იუწყება, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხი დასავლეთი სახელმწიფოებისათვის მეტად დიდ პრობლემად იქცევა. როგორც ჰაიტ-უერი აღნიშნავს, აჩვენონმა თუმცა უარყო ცნობა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ამჟამად განიხილავს ასეთ საკითხს, მაგრამ გამოცდილ დიპლომატთა მიერ კერძო საუბრებში გაკეთებული განცხადებით არსებობს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს საკითხი შემდეგში, შესაძლებელია, აქტიურად განიხილონ არა მარტო შეერთებული შტატების მთავრობამ, არამედ სხვა დასავლეთი სახელმწიფოების მთავრობებმაც.

ციკლონი სამხრეთ ინდოეთში

დელი, 17 ნოემბერი. (საკდესი). სამხრეთ ინდოეთზე გადაიარა ციკლონმა, რომელსაც მოყვა ხანგრძლივი კოკისპირული წვიმა. ცხრა რაიონის სოფლის მეურნეობამ დიდი ზარალი განიცადა.

კრიშნის რაიონში დაინგრა 3 ათასი სახლი, განადგურდა 125 ათას აკრზე მეტი ნათესი, დაიღუპა 650 კაცი და თითქმის 15 ათასი შინაური ცხოველი.

გუნტურის რაიონში დაინგრა 6.200 საცხოვრებელი სახლი, განადგურდა 52 ათასი აკრი ნათესი, დაიღუპა 2.500-ზე მეტი შინაური ცხოველი.

ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის წარმატებანი

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). მთელმა ჩეხოსლოვაკიის მრეწველობამ (კვების მრეწველობის ჩაუთვლელად) 102,3 პროცენტით შეასრულა ოქტომბრის გეგმა. 1949 წლის 10 თვის გეგმა შესრულებულია 101,8 პროცენტით. სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების მეოხებით მუშაობა ოქტომბერში მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს შახტებმა და სამადნეებმა, აგრეთვე მრეწველობის მთელმა რიგმა სხვა დარგებმა.

ჩეხოსლოვაკიის საწარმოებში ამჟამად ფართოვდება შეჯიბრება ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ბევრმა საწარმომ უკვე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა 1950 წლის ანგარიშში მუშაობს.

გერმანიის ფედერაციის ელჩი ტოკიოში

ტოკიო, 17 ნოემბერი. (საკდესი). ტოკიოში ჩავიდა ახალი ელჩი, ბონიდან გამოგზავნილი ბატონი ოტა. ბატონ ოტას ბონიდან ტოკიოში ჩამოყვანილ ოჯახებს ეგებებოდნენ ბატონ ოტას ოჯახის ოჯახის ოჯახის